

619  
1959



ქართული  
ბიბლიოთეკა



დროშა

№ 9 სექტემბერი 1959




სულ უფრო და უფრო ფართოვდება ჩვენს რესპუბლიკაში ვალენტინა გაგანოვას თანხლებით დაწყებული მოძრაობა... საქართველოს მრეწველობის საუკეთესო მეთაურები გადადიან ჩამორჩენილ ბრიგადებში. სახელმძღვანელო მეთაურები შოთა შუბითიძე და გარის ბამბუელის კომბინატის სართავი ფაბრიკის ბრიგადირი ელენე გეგელაშვილი, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მოწინავე ბრიგადირი ოთარ კახია და ტყუბულელი მუშახტე შოთა კუბლაშვილი უკვე ახალ უბნებსა და ბრიგადებს ხელმძღვანელობენ და იბრძვიან, რომ ესენიც მოწინავე გახდნენ.

თბილისის მუდ-კამფოლის კომბინატში „საბჭოთა საქართველო“—სართავი საამქროს ბრიგადა № 11 ყოველთვის ვერ ასრულებდა გეგმას, მისი დღიური დავალების შესრულება 97% არ ასცილებია, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაშიც ჩამორჩებოდა—და, აი, ამ ბრიგადაში მოვიდა მოწინავე—№ 12 ბრიგადის ხელმძღვანელი შოთა მალულარია (სურათი 1) და უკვე სამი დღის შემდეგ ბრიგადამ დაიწყო დღიური ნორმების შესრულება, ხოლო 10 დღის შემდეგ ზეგეგმით პროდუქციის გამოშვება.


თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში სამგზავრო ვაგონების საამქროს მოწინავე დურგალმა შ. გელდიაშვილმა, რომელიც მანამდე ბრიგადირის მოადგილედ მუშაობდა—შექმნა ახალი ბრიგადა; სახელოსნო სასწავლებლის ახალდამთავრებულ გამოუცდელ ახალგაზრდა მუშებს ჯაჭვიარა თავისი ცოდნა და გამოცდილება და აგვისტოს პირველ ნახევარში ამ ბრიგადამ 210% შესასრულა გეგმა (სურ. 2).

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკაში სართავი საამქროს ერთადერთი ბრიგადა არ ასრულებდა საწარმოო დავალებას. ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად მოწინავე მე-9 ბრიგადის ხელმძღვანელი ვახტანგ ბარნაბიშვილი გადავიდა ჩამორჩენილ ბრიგადაში და დღეს უკვე ეს ბრიგადა 112—115%-ით ასრულებს გეგმას.



სურათი 2 (ზემოდან ქვემოთ):

1. მუდ-კამფოლის კომბინატის სართავი საამქროს მეთერთმეტე ბრიგადის ხელმძღვანელი შ. მალულარია მითითებას აძლევს ფეიქრებს ხ. ტოტოშვილს და ლ. ბესტაევას, რომლებიც დღურ დავალებას 110—115% ასრულებენ.
2. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დურგალთა ახალგაზრდული ბრიგადა (მარცხნიდან შარჯენი) ე. მურადიანი, ბრიგადირი შ. გელდიაშვილი, ე. გულიავეი, კ. გლინინსკი და ა. დურანევი არემონტებენ სამგზავრო ვაგონს.
3. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეთუ ბრიგადის მოწინავე ფეიქრები ლ. ზამთარია და ე. კალანოვა ყურადღებით უსმენენ ბრიგადირ ვ. ბარნაბიშვილის ინსტრუქტაჟს.



ყველა წლის ერთი წელი  
ნაწილად

მისილ გორბილაქი

ზღვასავით ვრცელი, მუქ-ლურჯი ფერებით გადა-  
ხატული ჩაის პლანტაციები. ლარივით გაჭიმულ  
რიგებს ჩასდგომიან ქალები და ისე კრეფენ ქორფა-  
დუყებს, რომ თვალს ვერ შეასწრებთ. თითები ავ-  
ტომატურად, რიტმულად მოძრაობენ, რამდენიმე  
წამში ჩვილი ფოთლებით ორივე ხელი ივსება. კა-  
ლათი კალათს ემატება. მოდის მწვანე ოქროს ხვა-  
ვი და ბარაქა.

ღიმილით გვეგებება საშუალო ხნის, ლამაზი სა-  
ხის ქალი. მზისაგან გახუნებულ ჭილის ქუდქვეშ  
შავ თმებს აქა-იქ თეთრი ძაფებივით შერევია ჭაღა-  
რა. ეს არის № 11 ბრიგადის პირველი რგოლის  
მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ლო-  
ლა გოგოტიშვილი.

ნახევარ ჰექტარ ფართობზე — 5100 კილოგრა-  
მი. ჰექტარზე საშუალოდ — 10.000 კილოგრამი,  
ასეთია მისი რგოლის გასული წლის მიღწევა. ეს  
სარეკორდო მოხაზავია; უკანასკნელი ათი წლის  
განმავლობაში ლოლამ ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე  
მოკრიფა ორმოცდათერთმეტი ათასი კილოგრამი  
ხარისხოვანი ჩაი, თვითეული დუყი — კი მილი-  
გრამებს იწონის. ამ რაოდენობის ჩაის მოსათავსებ-  
ლად რამდენიმე ვაგონი იქნება საჭირო.

მოკრძალებით გვიანდობდა და თავის დახრით  
გვესალმება სამოცდათხუთმეტიოდე წლის მოხუ-  
ცი ეტიფანე გოგოტიშვილი. ის ლოლას მამამთი-  
ლია. საკოლმეურნეო ფართობში ორ ჰექტარზე მეტ  
ციტრუსის ბაღს უვლის, შრომადღებების გამომუ-  
შავებაში რძალსა და შვილს ეჯობება. გუშინ და-  
უმთავრებია სამუშაო. ჩვენ შეგვაპჩნია და აქეთ  
წამოვიდა.

— სიღარიბისაგან გურია მუდამ წელში იყო გა-  
ტეხილი, — წარსულს იგონებს ეტიფანე. — უმ-  
რავლესობას ისლით დახურული ფაცხა გვედგა.  
გზა არ გვქონდა, წიგნი არ ვიცოდით. ახლა, საი-  
თაც გაიხედავ, ყველგან ბაღებია. წინათ აქაურო-  
ბა ტყითა და ეკალ-ბარდით იყო დაფარული, და-  
მით ძროხა რომ დაგვრჩენოდა გარეთ, მგლები  
დაგლეჯდნენ. დაილოცოს გლეხის მარჯვენა, მიწა-  
ზე მიუშვი, სხვა არაფერი უნდა. მიწა ისეთივე  
თბილია, როგორც დედის კალთა, ისეთივე ტკბი-  
ლია, როგორც დედის ძუძუ. ხელს გაანძრევ და  
ასკეცად მოგიწავს. ერთი ციდა ნერგი ხუთ წე-  
ლიწადში ხედ იქცევა, შვილივით მხარში ამოგიდ-  
გება. ასეა, ასე, ჩემი ოჯახის გამოცდილება მალა-  
პარაკებს. — ამბობს მოხუცი.

ეტიფანემ რძალთან და შვილთან ერთად შარ-  
შან ათას სამასი შრომადღე გამოიმუშავა, ოცდა-  
თხუთმეტი ათასი მანეთი ფულად და ათასოთხასი  
კილოგრამი მარცვლეული მიიღო.

ლოლა გოგოტიშვილს საუკეთესო მაჩვენებლე-  
ბისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამო-  
ფენის ოთხი მედალი აქვს მიღებული. დღეს თავის  
რგოლთან ერთად თავდადებით იბრძვის ახალ ხა-  
რეკორდო მოსავლის მისაღებად, კომუნისტური

• შრომის ბრიგადის საამაყო და საპატიო სახელის  
მოსაპოვებლად.

ნატანებელ მშრომელთა რიგებში შეიძლება  
ათეულ, ასეულ მოწინავეთა ჩამოთვლა.

კოლმეურნეობას 21 შრომის გმირი ჰყავს, მათ-  
გან ათი ქალია. დარეჯან ტაკიძე, ნინო ზოიძე, ნინო  
მიმინოშვილი, ზინა ჯაბუა, მარო გორგილაძე, ლო-  
ლა გოგოტიშვილი, ლიუდი ხურციძე, ანა ბაბილო-  
ძე, თამარ ცენტერაძე, ანა დედუცვა, აი მათი გვა-  
რები. ისინი ყოველ ახალ წელს ახალი წარმატე-  
ბებით ხვდებიან. სახელგანთქმულ მეჩაიეებს მხარ-  
ში უდგას ახალგაზრდა, შემცველი თაობა —  
ციური თავაძე, ლილა მუავია, დეზდემონა უჭმა-  
ჭურიძე, თეო ქობალიანი, დარეჯან თავაძე და ბევ-  
რი სხვები, რომლებმაც ჯერ კიდევ მოწაფეო-  
ბის დროს გამოიღეს თავი და სკოლისაგან მოუ-  
წყვეტლად მოჰკრიფეს რამდენიმე ათასი კილო-  
გრამი ჩაის ფოთლი. საშუალო სკოლის დამთავ-  
რების შემდეგ მათ სიხარულით მიაშურეს საყვარ-  
ელ უბანს, შექმნეს კომკავშირული რგოლები,  
აიღეს ვალდებულებები, შეჭირბებაში გამოიწვიეს  
ერთმანეთი. ახლა ისინი შრომის ველზე მეტო-  
ქეობას უწევენ ცნობილ მეჩაიეებს.

მიჰყვები განიერ ვაატაკცილს, შეჭურებ  
მზრუნველობით მოვლილ ჩაის პლანტაციებს, ციტ-  
რუსის ნარგავებით ღურჯად შებურულ ბორცვებ-  
სა და გორაკებს, მიხაიხფრად დახატულ ტუნგოს  
ფართობებს, აშოლტილ ევკალიპტის ხეებს, ლამაზ  
სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებს, ელექტრო-  
დენისა და რადიოს მაღალ ბოძებს, მზეზე მოლაპ-  
ლაპე მავთულებით გადაქსეულილ სოფელს, ხავერ-  
დოვან გარემოს.

შევდივართ ერთმანეთში გადაბარდნილ, ნაძვე-  
ბით შემოფარგლულ ჩაის პლანტაციებში. ეს ალექ-  
სანდრე მიმინოშვილის კომუნისტური შრომის ბრი-  
გადის ფართობებია. საქართველოს სსრ უმაღლესი  
საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმი-  
რი დარეჯან ტაკიძე საქმით ისეა გართული, რომ  
მანამ ვერ შეგვაპჩნია, ვიდრე ორიოდ ნაბიჯზე  
არ მივუახლოვდით. მოძველებული, ალაგ-ალაგ  
ტყეშუმტვრეული, ხმარებისაგან გახუნებული კა-  
ლათი პირამდეა სავსე. დარეჯანმა მას „ბედნიერი  
კალათი“ შეარქვა. ვინ იცის, შიგ რამდენი ათას  
კილოგრამი ჩაი ჩაუკრფია. ნატანების პირველი  
გმირი ქალი, ჩაის მოვლის, კრეფისა და ნიადაგის  
დამუშავების ნოვატორი, სარეკორდო მოსავლის  
მომყვანი, უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დე-  
პუტატი, აი, ვინ არის დარეჯანი! ბოლო ათი წლის  
განმავლობაში დარეჯანის რგოლმა 242 ათასი კი-  
ლოგრამი ხარისხოვანი ჩაი მოჰკრიფა.

დარეჯანს გადაწყვეტილი აქვს შვიდწლეულის გან-  
მავლობაში მოჰკრიფოს ბევრად მეტი ჩაი, ვიდრე  
გახულ ათ წელიწადში. რგოლის წევრის ყველა ნა-  
კვეთი აიყვანოს სარეკორდო მოსავალზე, ისე რომ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

ეროვნული  
გაზეთი

№ 9 (98) საქმეზნარი, 1959 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტი-  
კური და სალიბერალური-სამხეაზრო  
ჟურნალი



დროშა

სამი ინჟინერი	3
ქუჩუნა წვიმა გოვირა	6
ქართული კულტურის მოამბე	8
შაორელები	9
ლატმერნა მაგნიკა	10
ჩემო შრომიანი	11
სვანური ღროვა „ლაშ“	12
დედაკალაქი	15
პირველი პაციენტი	18

სსრკ კ. პარტიის  
საზოგადოებრივი  
გაზეთი



ლოლა გოგოტიშვილი

1965 წლისათვის ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 12.000 კილოგრამი.

ეს ჩვენი ბრიგადის კომკავშირული რგოლია. ესეც რგოლის ხელმძღვანელი ეთერი ნიკოლაშვილი, — წარმოგვიდგინა თვალციმციმა, მოუსვენარი გოგონა. ხელისგულივით გაშლილ პლანტაციის ჩამდგარიყო ჯანდონით აღსავსე ცხრა ქალიშვილი.

კოლმეურნეობის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 5.500 კილოგრამია, ეთერის რგოლმა ვალდებულდება აიღოს მოჰკრიფოს არა ნაკლებ 7.500 კილოგრამისა. კარგი შეგირდი ოსტატს არ ჩამორჩება. ასევე ითქმის ამ გოგონებზე, ეთერი კოლმეურნეობაში მუშაობასთან კარგად ათავსებს დაუსწრებელ სწავლებას, ის უკვე მეორე კურსის სტუდენტია. მალე დარეჯან თავაძე, მედიკოს თოძე და ნუნუ ცენტერაძე შეაღებენ დაუსწრებელი ინსტიტუტის კარებს.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები გემების ყოველდღიურ შესრულებას როდი სჭირდებიან. მათ შვიდწლიანი სავსე გავარდნილი ვალდებულება აიღეს.

— გასულ წელს მოვკრიფეთ 70.000 კილოგრამი ჩაი, — გვეუბნება ბრიგადირი, — 1965 წლისათვის მოვკრიფეთ 40.000-ით მეტს, გასულ წელს დავამზადეთ სამასი ათასი ცალი ციტრუსი. 1965 წლისათვის დავამზადებთ 1,5 მილიონ ცალს. სიმინდის მოსავლიანობას გავზრდით ჰექტარზე ათი ცენტნერით. გავაშენებთ ხელოვნურ ტყეს, ჩაის, ციტრუსის, ტუნგოს ახალ პლანტაციებს.

ვუსმენ მძიმედ, დაჭერებით მოლაპარაკე ბრიგადირს და რატომღაც მაშინვე ვრწმუნდები, რომ ეს შავტუხა კაბუჯი თავმდაბლობს, რომ თვითონ და მისი ბრიგადა ბევრად მეტს მიიღწევს. ყოველივე ეს ხომ მისი სოფლის, მთელი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ უნდა გაკეთდეს.

ბრიგადებში მოწყობილი აქვთ სამზარეულოები, მზადდება ცხელი კერძები, ბუფლისხილის ფართობში, სადაც ბრიგადირია სოციალისტური შრომის

გმირი ივანე გორგილაძე, გვთხოვეს სადილზე ვწვეოდით.

ფარდულის ერთ მხარეს, გრძელ მაგიდას შემოვუსხდით. სამზარეულოში სოციალისტური შრომის გმირი ზინა ჯაბუა მორიგეობდა. კარგი სანახავი იყო, კავანდარა გოგონები მარდად დიასახლისობდნენ, მაგიდას ლამაზად აწყობდნენ. სადღეგრძელოები ვერ ვთქვით, ღვინო არ გვქონდა, მაგრამ წყაროს უინტელივით ცივ წყალს საუკეთესო ღვინოც ვერ შეედრებოდა.

სადილის შემდეგ ქალიშვილები ფარდულის წინ მწვანეზე ნაძვის ჩრდილს შეეფარნენ და სიმღერა წამოიწყეს:

„სოფელო, ჩემო სოფელო,  
ლაშაო ჩემო მხარეო...“

ნარნარა, სასიამოვნო ხმები ეფინებოდა სივრცეს. ტკბილი მელოდია მანამ გვესმოდა, ვიდრე მოსახვევს არ მივეფარეთ. ამ მხიარულ, დაუღლელ, შრომაზე გამარჯვებულ ადამიანებთან ცხოვრება განსაკუთრებით მიმზიდველი, ხალისიანი და მრავალფეროვანია.

ავდივართ მაღლობზე. თვალწინ იშლება წალკოტში ჩაძირული მიდამო, მშვიდი, ნაზად მოლივლივე ზღვა, ლურჯი მთები და თოვლით შემოსილი მწვერვალები. ჰაერი სუფთაა, სურნელებით გაუღენთილი. აყვავებულია ციტრუსის ბაღები, აკაციის ხეები, მაგნოლია და იასამანი.

— რასაც თვალი ხედავს, განა ეს არის ჩვენი სიმდიდრე? — აღაპარაკდა აქამდე სიტყვაძვირი კოლმეურნეობის პარტიბუროს მდივანი ვლადიმერ მახარაძე, — ციფრები თუ არ მოვიშველიეთ, ჩვენს ფასს ვერ გაიგებთ. სოფლის შემოსავალმა გასულ წელს 24.183.000 მანეთს გადააჭარბა. აქედან ორი მესამედი კოლმეურნეობის სექტორზე მოდის. 21 ბრიგადიდან ოთხი მილიონერია. ივანე კუნჭულიას ბრიგადამ მილიონ ხუთას ოცდაათათასი მანეთი მიიღო. შრომადღეზე გავცივით 26 მანეთი ფული და სამახვიარი კილოგრამი მარცვლეული. კეთილმოწყობილი გზები შევიყვანეთ ყველა უბანში. სოფელში მუშაობს 7 მაღაზია, ბავშვთა ბაგები და ბაღები, აფთიაქი, საავადმყოფო. განუყოფელი ფონდი 24 მილიონ მანეთს შეადგენს. შვიდწლიდის ბოლოსათვის კიდევ უფრო მიმზიდველი და ბარაქიანი იქნება ჩვენი სოფელი. ყოველწლიურად ჩავაბარებთ 2.200.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის, 30 მილიონ ცალ ციტრუსს. შევამკირებთ შრომის ნორმებს, გავზრდით ნაყოფიერებას. ავაგებთ საშუალო სკოლის ახალ შენობას, კულტურის სასახლეს, საავადმყოფოს. ათეულ ჰექტარზე გავაშენებთ ჩაის, ციტრუსის, ტუნგოს პლანტაციებს. შემოსავალი გადააჭარბებს 30 მილიონ მანეთს... ჩაწერას ვერ ასწრებთ? — ღიმილით შემომყურებს მდივანი.

შრომითა და მღელვარებით აღსავსე დღე თანდათან მიიწურა. დაცარიელებული გზები, შუკები ისევ ახმაურდა. ავტომანქანას ავტომანქანა მოსდევდა, კოლმეურნეები ისევ ლაღად, მხიარულად, სიმღერით ბრუნდებოდნენ.

თავმჯდომარის კაბინეტში განუწყვეტელი მოძრაობაა, ბრიგადირებს ახალი ცნობები მოაქვთ. აჭამებენ დღევანდელი დღის შედეგებს.

— 180 პროცენტი!

აჰა, შვიდწლიდის მორიგი, მიღწევებით, გამარჯვებებით აღსავსე დღე.

ისევ სოფლის შარა, ზაფხულის ღამე, ვარსკვლავებით გადაჭარბული ზეცა, წყვდიადში ჩაძინებული გორაკები, პლანტაციები, ბაღები, ელნათურებით ანთებული ოდა-სახლები, ამღერებული მიდა... მო. ასეთი არის ნატანები დღისით და ღამით.



შემოგვძლი მგზავრი ღამენაღებ...  
დელას ნუკრივით გვერდში მოსდევდი,  
ვით ხილვა იყო ნაუცბათევი, —  
ასევე მალე გემშვიდობები.

მატარებელი დაიძრა ხვნეშით,  
გულს ამ მხარეში ვტოვებ ყარბად  
ვხედავ: მიდამომ აიღვა ფეხი —  
შენ სანახავად მოეჩქარება.

მძლე ორთქლმავალი შავ ბოლს ნისლად შლის,  
მივჭირი.. მოჭირიან შენსკენ წნორები...  
თუ ყველაფერი მანდით ისწრაფვის  
მე რალა გზებით გეშორშორები?!

გაბარეილ ჯაბუშანური



ჩიორა ჩიორა

ქარი აწვალებს შრიალა ტირიფს,  
გაფითრებულან ფოთლები არყის,  
თუთის ტოტებში ჩიორა ტირის  
გადაფრენია ბუდიდან ბარტყი.

თუ სიყვარულის გრძნობით მიღმი,  
თუ ჩემზე ზრუნვით შენ თმებზე გათოვს  
მოგწყდები როგორც პატარა ღილი  
დაგეკარგები უმისამართოდ.

მაშინ მიხვდები ჩიტი რას გალობს,  
ან ქარი რატომ აწვალებს ტირიფს,  
უსიყვარულოდ ვარდიც ვერ ხარობს,  
ჩიორაც ტირის...

ეთერ ჯიშარბანი



ისევ გავშორდით, ვერც კი ვიმღერე  
(ცამ იადონის არ მომცა ენა)...  
ნეტავ ძვირფასო სიკვდილის მერე  
ჩვენ ერთ ყვავილად აღმოგვაცენა!

ასე მგონია, ის ბაწანინა,  
ნაზი ყვავილი ნაბერწყალივით,  
სძლევს მივიწყების მწუხრს და ქარწვიმას...  
ის უძლური და ნაზი ყვავილი.

ზალვა მხედლიშვილი

# საქი

## ინჟინერი

წულუკიძის რაიონი. სოფ. გუბი კოლმეურნე დომენტი აბზიანიძეს; ცაგერის რაიონი. სოფ. ლაილაში კოლმეურნეობის მკვდელს მოსე თვარაძეს;

თბილისი. ბოცვაძის ქ. № 2. ინჟინერ ვალერიან ჩუბინიძეს.

პატივცემულო დომენტი!

პატივცემულო მოსე!

პატივცემულო ვალერიან!

ეს ნარკვევი საში ახალგაზრდა ქართველი ინჟინრის შესახებ მე მინდა დავიწყო თქვენდამი მიმართებით არა მარტო იმიტომ, რომ თქვენ მშობლები ხართ და ყველაზე უფრო მეტად გახარებთ მათი წარმატება და კეთილი სახელი, არამედ იმიტომ, რომ ყოველივე ეს თქვენი და თქვენი მეუღლეების აღზრდისა, თქვენ მიერ დანერგილი: შრომითი და ზნეობრივი ჩვევების, ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულისა და საქმისადმი ერთგულების შედეგია.

თქვენ მოგმართავთ, მაგრამ ეს მომართვა გეხებათ არა მარტო თქვენ, არამედ კიდევ მრავალ ადამიანს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თქვენი შვილების აღზრდაში — ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებლებს — თამარ გიორგობიანსა, მარო ფრუიძეს და ფედოსი გოლოძეს, რომელთაც პირველდაწყებითი ცოდნა მიადებინეს და მეცნიერების საწყისები დაუწერეს პავლე თვარაძეს, ანდა სოფელ გუბის ოთხწლედის მასწავლებლებს, სადაც მიხეილ აბზიანიძე სწავლობდა, ანდა სოხუმის მეორე საშუალო სკოლას, რომელიც თენგიზ ჩუბინიძემ დაამთავრა...

ეს მიმართვა ეხება, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს — დოცენტ ალექსანდრე ლოსაბერიძეს და პროფესორ ვალენტინო ჯიმშელიაშვილს, დოცენტ ლევან გველესიანსა და დოც. ელენოვარ ცერცვაძეს, დოც. ალექსანდრე ჭანიშვილსა და დოცენტ ალექსანდრე კაკუშაძეს, რომლებმაც დიდი შრომა და მოთმინება, მონდომება, და სიყვარული მოახდინეს რათა სკოლიდან მოსულ უმწიფარი ბიჭებიდან ხუთი წლის განმავლობაში ინჟინრები, მშენებლები, მოწინავე საბჭოთა მოქალაქეები გაეზარდათ და ეს ეხება კიდევ მრავალ ადამიანს — სკოლის და ინსტიტუტის პარტიულ და კომკავშირულ მეთაურებს, რომლებიც ყოველდღიურად ხელს უწყობდნენ თქვენი შვილების სწავლასა და ცხოვრებას, ამხანაგებს, რომლებიც

გვერდზე უდგნენ სწავლაში და შრომაში, და რომელთა მხარს ყოველთვის გრძნობს ადამიანი სიხარულსა და გაჭირვებაში. მე ველაპარაკე მრავალ მათგანს... ლეჩხუმის მთებში, სოფელ ლაილაში ცხოვრობს მასწავლებელი ფედოსი გოლოძე. იცდაათზე მეტი წელია იგი ასწავლის პირველი კლასების მოწაფეებს. მასთან, ამ ოცდაორი წლის წინ მოვიდა თქვენი შვილი პავლე, პატივცემულო მოსე, მის ხელში მრავალ ათას ასეთივე ბიჭუნას და გოგონას გამოუვლია, მაგრამ მას კარგად ახსოვს არა მარტო ცეცება პავლესი, არამედ მისი ყველა ჩვეულება; მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალყურს თავისი აღზრდილის წარმატებებს და ესახელება, ისევე, როგორც ესახელება რომ მისი მოწაფეები იყვნენ ექიმი პედიატრი ვენერა ჩაჩხიანი, ან ფრონტზე დაღუპული პოეტი სევერიან ისიანი, ან დოცენტი დავით ხეცურიანი...



თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე ცხოვრობს გამოჩენილი ქართველი პიდროტექნიკოსი ალექსანდრე ლოსაბერიძე — ჩემ შეკითხვაზე იცნობს თუ არა იგი ინჟინრებს მიხეილ აბზიანიძეს; პავლე თვარაძეს, თენგიზ ჩუბინიძეს, მას გაეღიმა, მერე მაგიდის უკრიდან ძველი წიგნაკი ამოიღო, გადაფურცლა.

— აი, ჯგუფი № 184... პიდრომშენებლები... მე მათ რომდენიმე საგანს ვასწავლიდი... ნაგებობათა სტატიკას და დრეკადობის თეორიას. საამშენებლო მექანიკას, მასალათა გამძლეობას... აი, მათი ნიშნები... თუმცა ახლა რა მნიშვნელობა აქვს ნიშნებს — კარგი ინჟინრები არიან. იმ თავითვე ეტყობოდნენ მთავარი — შრომისუნარიანობა და საქმისადმი სიყვარული. ეს კი ბევრ რამეს წყვეტს. ალექსანდრე ლოსაბერიძე სიამაყით ლაპარაკობდა რომ თაღოვან კაშხალს, რომელიც მან დააპროექტა, აშენებენ მის მიერვე აღზრდილი ინჟინრები.

...

მიხეილ აბზიანიძე, პავლე თვარაძე, და თენგიზ ჩუბინიძე ახალგაზრდა ინჟინრები არიან — სულ ხუთი წელია, რაც მათ დასტოვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუდიტორიები და დამოუკიდებელი შრომისა და ცხოვრების გზას დაადგნენ.

ლურჯ წიგნაკში სამივეს ერთნაირად ჰქონდათ ჩაწერილი, რომ მან




ქართული  
ინჟინირთა  
კავშირთა

დამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის პიდროტექნიკური მშენებლობის სპეციალობა და ინჟინერ-პიდროტექნიკოსის წოდება მიენიჭა.

ეს წიგნაკი, რომლის ჩანართ ფურცლებში რამდენიმე ათეული საგანია ჩამოთვლილი, მეტ-ნაკლები წარმატებით რომ გაუვლია სტუდენტს ხუთი წლის განმავლობაში, და იქ აღნიშნული მალაღობი და საპატიო წოდება — „ინჟინერი“, — უფლებას აძლევდა წიგნაკის მფლობელს სათანადო თანამდებობა დაეჭირა, მაგრამ არსებითად, ეს დიპლომიც და ეს წოდებაც მხოლოდ განაცხადი იყო იმისა, რისი გაკეთებაც ჯერ კიდევ წინ ედოთ ახალგაზრდა ინჟინერებს.

სიტყვა „ინჟინერი“, როგორც ცნობილია, ლათინური წარმოშობისაა და იმ სიტყვიდან მომდინარეობს, რომელიც მიდრეკილებას, გამოგონებლობას აღნიშნავს. შეიძლება, სწორედ გამოგონებლობის უნარია მთავარი საინჟინრო საქმიანობაში. ყოველივე ცოდნა უაზრო და ფუჭი იქნება თუ ინჟინერი ვერ შესძლებს ამ ცოდნის სწორედ იმ დროს გამოყენებას, როდესაც სრულიად მოულოდნელად დადგება მის წინაშე ისეთი საკითხი, არც ერთ სახელმძღვანელოში რომ არ იყო აღწერილი. ამ მხრივ ინჟინრის მუშაობა ზედმიწევნით შეედრება ოფიცრის მოქმედებას ბრძოლაში. მან სწრაფად უნდა აუღოს ალღო მრავალ ვარაუდობას. ყოველივე გაითვალისწინოს, სათანადო ზუსტი გადაწყვეტილება მიიღოს და გასცეს განკარგულება ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. მისი ცოდნისა, მოსაზრების სისწრაფისა და განჭვრეტის უნარზე დამოკიდებულია ნაგებობათა, მატერიალურ ფასეულობათა დაცვა, და ხშირად, აღამიანების სიცოცხლის შენარჩუნებაც...

... მიხეილ აბზიანიძემ შეიძლება გაიხსენოს 1957 წლის მაისი, როდესაც იგი ლაჯანურაქისის ცაგერის სათანადო ნაგებობის უბნის უფროსად მუშაობდა. აღიღებული ცხენისწყალი ისეთი გაშვებით ეკვეთა კაშხალის ბურჯებს, რომ აღარავის ეგონა თუ ამ აპორგებულ, მღვრივ ტალღებს რაიმე გადაურჩებოდა. როგორ ებრძოდნენ პიდროტექნიკელები მდინარის მძინვარებას? რა განკარგულებას იძლეოდა უბნის ახალგაზრდა უფროსი? ვინ გამოიჩინა თავი ამ უსწორო ბრძოლაში? უსწორო ბრძოლაში, რადგან ცალმხრივ აღვირახსნილი სტიქიონის თარეში იყო, ხოლო მეორე მხრივ ბუნების კანონთა ზუსტი ცოდნა, ნებისყოფა და სწორედ ის გამოგონებლობა, რომლიდანაც სახელწოდება „ინჟინერი“ მომდინარეობს. იმ წუთებში და იმ დღეებში, რომლებმაც წუთებივით სწრაფად ჩაიარეს, არავინ ფიქრობდა იმას თუ ვინ რა გააკეთა. მაგრამ, როდესაც წყალი დაწყდა და უნებლად გადაარჩინილი კაშხლის ბურჯები ისევ გამოჩნდნენ ცხენისწყლის ტალღებიდან, ცხადი შეიქნა, რომ ახალგაზრდა პიდროტექნიკოსმა „ფრიად-



თენგიზ ჩუბინიძე

ზე“ ჩააბარა პირველი პრაქტიკული გამოცდა. ... პავლე თვარაძემ შეიძლება გაიხსენოს გვირახის მეშვიდე სანგრევი, სადაც იგი ცვლის ოსტატად მუშაობდა და ის „მაიკობის თიხები“, რომლებმაც ამდენი მოულოდნელი უსიამოვნება შეახვედრეს გვირახის გამყვანებს. სანგრევი წინ მიიწვიდა, კედლები ტიუბინგებით მარგდებოდა, მაგრამ მოულოდნელად, ქანებში ისეთი მძლავრი დაწოლა იწყებოდა, რომ თუჯის საღებები კვერცხის ნაქუჭივით იშხვრებოდა, ბეტონის კედლები ქაღალდივით იქმუქნებოდა და რამდენიმე დღის შრომის შედეგად გაყვანილი გვირახის ადგილას ჩამონგრეული ქანების კედელი იმართებოდა. საჭირო იყო ჩამონგრევის სწრაფი შეჩერება, რომ იგი არ განკითხარებულყო, არ დაეჭია უკვე გაყვანილი გვირახი. პავლე თვარაძეს სიფრთხილე, წინდახედულება, გამბედაობა უნდა გამოეჩინა. საქმის წარმატებას ხშირად სულ უბრალო და მცირე საკითხი წყვეტს. თითქმის აღუნუსხავი ცვლილებები ქანის სიმაგრესა და ნაპრალიანობაში იმის მანიშნებელია, რომ ქანების დაწოლა იმატა... სანგრევი უკვე დაბურღილია. ამფეთქებელი იწყებს შუბრების დატენვას, კიდევ რამდენიმე წუთი და ათეული კილოგრამი ამონალის მძლავრ აფეთქება მოანგრევეს სანგრევის გულს. მაგრამ ეს აფეთქება გათვალისწინებულია ნორმალურ სამთო დაწოლის პირობებისათვის და ახლა თუ არ შეიცვალა ამონალის რაოდენობა, შეიძლება აფეთქებას ჩამონგრევეც მოჰყვეს. აი, აქვე, სან-

გრევეში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ახალგაზრდა ინჟინერმა. რომ შეამციროს ამონალის რაოდენობა, დაარღვიოს დამტკიცებული ტექნოლოგიური რეჟიმი — ცვლის ბოლოსთვის გვირახი სულ მცირედ წინწევს წინ, ჩამორჩება გეგმას, აღებულ ტემპს. არ შეამციროს და შეიძლება აფეთქებას მოყვეს გვირახის ჩამონგრევა და მაშინ, ვინ იცის, რამდენი ხნით შეფერხდეს საქმე! — აი ამ შუბრებს ნუ დატენი, ამ განაპირა. შუბრებში ნაკლები ამონალი ჩადე. — ეუბნება პავლე ამფეთქებელს... — სწორეა, პავლე მაისევიჩი! — ეს დანიელ რეშეტნიკოვი, ხნიერი გამყვანი, რომელმაც თავისი ნახევარი სიცოცხლე მიწის ქვეშ გაატარა, ალლოთი და გუმანიტ გრძნობს იმას, რასაც ახალგაზრდა ინჟინერს ცოდნა უკარნახებს. პავლე თვარაძე ცვლის ოსტატი იყო და სწავლობდა გვირახის უბნის უფროს ვახტანგ კასრაძისაგან, მშენებლობის უფროს გიორგი წულეისკირისაგან... მაგრამ თავის მასწავლებლებს რომ ასხენებს, არასოდეს გამოჩნდება გვირახის უბაღლო ოსტატები ძმები სერდობინცევი, და დანიელ რეშეტნიკოვი. ... თენგიზ ჩუბინიძესაც გაახსენდება, ალბათ, გახურებული მუშაობის ის წუთები, როდესაც ყოველ წამს ბეტონით დატვირთული თვითმცლევები თალოვანი კაშხლისაგან გვირახებისაკენ მიჰქრან, იქიდან კი სულ ახალსა და ახალს მოითხოვენ. სწორედ ამ დროს ლაბორატორიამ ზედხედ დაიწუნა ბეტონის რამდე-

ნიმე ნიმუში. ბეტონის ქარხნის უფროსი ა. ალენიკოვი და მთავარი ინჟინრის მოადგილე თენგიზ ჩუბინიძე საჩქაროდ ამოწმებდნენ ყველაფერს. — რა მოხდა? — ეკითხებოდა მათი თუ სილა არ იყო სათანადოდ გარეცხილი?

ბეტონის ქარხნის კედელზე უჩვეულო ლოზუნგი ჰკიდია „თალოვანი კაშხალე შენდება აქ!“ დიახ, აქ შენდება! აქ ბეტონის ქარხანაში, წყდება თალოვანი კაშხალის ბედილობა — რამდენად სწრაფად დამზადდება ბეტონი, და რაც მთავარია, რამდენად ზუსტად იქნება დაცული რეცეპტურა მაღალხარისხის ბეტონისა, რომლისგანაც უნდა აიგოს საბჭოთა კავშირის პირველი თალოვანი კაშხალი. მე არ შეგაწყენთ იმ ამბით, თუ როგორ მიაგნეს გამოცდილმა პრაქტიკოსმა და ახალგაზრდა ინჟინერმა მიზეზს ბეტონის წუნისა, მაგრამ მთავარია ის, რომ მიზეზი ნაპოვნი იყო და კიდევ უფრო მთავარია, რომ იგი სწრაფად აცილებული იქნა და ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ლაბორატორიამ ნება დართო და თვითმცლელთა წყება დაიძრა კაშხალისაკენ. შეიძლება ამ წუთებმა მეტი მისცეს თენგიზ ჩუბინიძეს, ვიდრე გასული წლების მშვიდმა და უხიფათო მუშაობამ საპროექტო განყოფილებაში, როდესაც აუჩქარებლად შეიძლება ცხრილებისა და ცნობარების მოშველიება, ყველაფრის აწონ-დაწონა და მოფურკება.

და აქვე არ შეიძლება არ ითქვას ახალგაზრდა ინჟინრების ერთ მეტად ძვირფას და საგულისხმო თვისების გამო. ეს არის თავმდაბლობა, უბრალოება. ერთი შეხედვით მათ ვერც გამოარჩევთ რიგითი მუშებისგან — სრულიად ასეთივე სპეცტანსაცმელი აცვიათ, ასევე არიან მზისგან გარუჭულები.

როდესაც პირველად თალოვანი კაშხლის მშენებლობაზე მივედი, პირველი ცვლა მუშაობას ამთავრებდა, მეორე ჯერ არ შესდგამოდა; ორივე ცვლის მუშები შეკრებილიყვნენ დერიის სასიგალო ბუღრუგანანსთან, მერცხლის ბუღრუსავით რომ მიკრიადა ცვლის ქიშის სამუშაოთა მწარმოებლები. ვალიკო ხეტურიანი და იაკობ ქარსელაძე გაცხარებული კამათობდნენ, მერე ლაპარაკში ბრიგადირები — შუქრი და რაქდენ თვარაძეები ჩაერთნენ, მერე უბნის მექანიკოსმა ოთარ გრაკელმა მოუქცია ქალაქურად... მოკლედ, როგორც მშენებლობის უფროსის გიორგი წულეისკირმა თქვა, „მაგარი დისკუსია“ იყო. მერყევი და ციკაბო კიბის თავზე ვიდექით და წულეისკირი რიგრიგობით ასახელებდა მუშებსა და ხელმძღვანელებს.


— აი, ის მალაღობი ბიჭი კი — კაშხლის მშენებლობის „მთავარი ფიგურა“ — მიხეილ აბზიანიძე, კაშხლის უბნის უფროსი. მიხეილი რიგრიგობით ადევნებდა თვალს მოსაუბრეებს, მერე საათს დახვდა და წყნარად დაიწყო ლაპარაკი. წამოძახილები და ხმაურობა შეწყდა. მიხეილმა

რამდენიმე სიტყვა თქვა, ბლოკნოტი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა, განკარგულებები გასცა. ხმა აღარავის ამოუღია, სწორედ ამ დროს მშენებლობის უფროსმა ჩაირბინა კიბე და მიხეილმა დაწვრილებით. აუჩქარებლად, დაღვევებით მოახსენა თუ რა გააკეთა პირველმა ცვლამ, რა დავალემა აქვს მეორეს. ცვლის ოსტატის და ბრიგადირის შეკითხვებზე ზუსტი და გარკვეული განხარგულება გასცა, მაგრამ როდესაც ერთმა მეტეტონე მუშამ თავისი მოსაზრებანი წამოაყენა, ორივენი — რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი მშენებლობის უფროსი და ამ მშენებლობაზე ყველაზე პასუხსაგები უზნის უფროსი ყურადღებით და გულდასმით ყურს უდებდნენ მუშას, რომელიც ურჩევდა ბეტონის ყალიბის ჩამოსხნისას ახალი ხერხი გამოეყენებინათ, არც ერთი ინსტრუქციითა და სახელმძღვანელოთი რომ არ იყო გათვალისწინებული. ინჟინრები ყურს უდებდნენ უბრალო მეტეტონეს და სრულიად არ ეთაკილებოდნენ მისი რჩევა და დარიგება, რადგან იცოდნენ რომ მას ლეჩხუმელი გლეხების მრავალი თაობის გამოცდილება და საზრისიანობა, ოსტატობა და ხელოვნება ალაპარაკებს.

და ამ უბრალოებასა და თემდამლობასთან ერთად ისინი — მიხეილ აბზიანიძეც, პავლე თვარაძეც და თენგიზ ჩუბინიძეც მშენებლობის ნამდვილი მეთაურები არიან. მათი ავტორიტეტი არა თანამდებობას, მდგომარეობას და წოდებას ემყარება, არამედ გაცილებით უფრო ღრმა საძირკველზეა დაფუძნებული, ამ საძირკვლის ქვაკუთხედს კი მყარი ცოდნა, ოსტატობა და საქმის სიყვარული შეადგენს.

აღტაცებული ვუყურებდი როგორ მუშაობდნენ ორმოცდაათი მეტრის სიმაღლეზე. კაშხლის სხეულზე ბუზებივით მიკრული ბიჭები. აცლიდნენ ფიცრის ყალიბს უკვე გამაგრებულ ბეტონს. მრავალი შესანიშნავი მთამსვლელი, კლდეზე სვლის ოსტატი მინახავს, მაგრამ ვერ წარმომედგინა თუ შეიძლებოდა ასე უშიშრად და გაბედულად, სულ მცირედი საყრდენი წერტილების გამოყენებით მოძრაობა, როგორც ბიძინა დეეღარიანი და ცოცავედა ბეტონის გლუვ კედელზე. განსაკუთრებით კობტად, თავისუფლად და ძალდაუტანებლად მუშაობდა. ამ სიმაღლეზე დაკიდებული, ძლიერად იქნევა ნაჯახს და კვეთდა გაურჩებულ ფიცრებს, მაგრამ რაღაცა ხელს უშლიდა და ყალიბი მაინც არ შორდებოდა ბეტონს. და ამ დროს კაშხლის გასწვრივ გაჭიმულ მიწზე გამოჩნდა ადამიანი, რომელიც სწრაფად, მაგრამ ფრთხილად მიდიოდა მილის გაყოლებით, სულ მალე მიუახლოვდა დეეღარიანს და მხოლოდ ახლა დაეინახე რომ პავლე თვარაძე ჩემს გვერდით აღარ იყო. იგი კაშხალზე გასულიყო და ახლა დეეღარიანთან ერთად დაუშინა ნაჯახი ფიცრებს. ეს კიდევ ერთი პასუხი იყო იმისა თუ რას ემყარება ახალგაზრდა ინჟინრების ავტორიტეტი: — პირად მაგალითს, საქმის ყოველი წვრილმანის პრაქტიკულ ცოდნას.

როდესაც ახალგაზრდა ინჟინრების ბიოგრაფიებს ვეცნობოდი, ცოტა ვიუცხოვე — პავლეს, მაგალითად, ჯერ ტექნიკურ განყოფილებაში შემუშავებია, მერე გვირაბში, მერე



მიხეილ აბზიანიძე.

კლდის სამუშაოებზე. ასევე მიხეილსაც, ასევე თენგიზსაც. ვიუცხოვე მეტი: ახალგაზრდა კაცი ასე ხშირად იცვლის ადგილებს... მაგრამ ასეთია ჰიდროტექნიკური მშენებლობის სპეციფიკა — ინჟინერმა კარგად უნდა იცოდეს ჰიდროტექნიკის ყველა დარგი და აქ ჩანს გიორგი წულესიკის და მთავარი ინჟინრის რევეზ კლდისმილის ხელი: — მხოლოდ მაშინ დააწინაურეს ახალგაზრდა ინჟინრები, როდესაც მათ მუშაობის პრაქტიკული სკოლა გაიარეს და თეორიულ ცოდნას ის სიმყარე და დარწმუნება მიეცა, რომელსაც მხოლოდ მრავალმხრივი გამოცდილება იძლევა.

აი, ზოგიერთი თვისებანი სამი ახალგაზრდა ინჟინრისა, მაგრამ განა მართო ამ სამს ეხება ყოველივე რაც ითქვა.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა მათი მუშაობის თაობაზედაც და იმის შესახებაც თუ რას აკეთებენ ახალგაზრდა ინჟინრები არა სამუშაო საათებში... რომ ინჟინერი პავლე თვარაძე გატაცებულია მევენახეობის საკითხებით, რომ აქ ლაჯანურაში, თბილისიდან დაშორებით, თქვენ შეგიძლიათ ელაპარაკოთ თენგიზს თბილისური თეატრალური პრემიერის შესახებ, ან გალინა ნიკალაევას და მიტჩელ უილსონის ახალი რომანის გამო... და კიდევ, როგორ წარიმართა მათი პირადი ცხოვრება? მაგრამ ეს უკვე სხვა ნარკვევის თემაა, რადგან მიხეილის მეუღლე სამთო ტექნიკოსი ნუცა მაჩაულაძეც, პავლესი — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ნათელა გუგავაც და თენგიზის — ინჟინერი ჰიდროტექნიკოსი ლილი თუნთიაც ღირსნი არიან რომ მათზე ცალკე დაიწეროს.


აი, ვგონებ, ყოველივე ის რაც უნდა მეთქვა იმ ახალგაზრდა ინჟინრების შესახებ, რომლებმაც სულ ხუთი წელია რაც დაამთავრეს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მაგრამ ამ ხუთი წლის განმავლობაში გახდნენ წარმოების ნამდვილი მეთაურები, წინ რომ უდგანან მშენებელთა რიგებს და იბრძვიან შეიღწევის განხორციელებისათვის.

პატივცემულო დომენტი! პატივცემულო მოსე! პატივცემულო ვალერიან! როდესაც თქვენ ამ წერილს მიიღებთ საბჭოთა კავშირის პირველი თაღოვანი კაშხალი თიოქმის დამთავრებული იქნება და ეს სიმაღლე — ნიშნული 479,4 რომლისთვისაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში იბრძვიან თქვენნი შეილები, მიღწეული იქნება, — კაშხალი ამადღებდა ამ ღონემდე და შესაძლებელი გახდება წყლის დაგუბება, ელსადგურის ამუშავება; იცოდეთ, ამ მიღწევებში თქვენს შეილებსაც დიდი წვლილი მიუძღვით და ისიც იცოდეთ, რომ ეს მხოლოდ იმ დიდი გზის დასაწყისია, რომელიც ჯერ კიდევ წინ უდევთ ინჟინერ მიხეილ აბზიანიძეს, ინჟინერ პავლე თვარაძეს და ინჟინერ თენგიზ ჩუბინიძეს.

ლაჯანურა, ივლისი 1959 წ.

კობე ჯავრიშვილი

ფოტო გ. თიკანაძისა.



პავლე თვარაძე.



ლორნა კოგზევი და დუგლას ლენდფორდი ცეკვავენ ჩარლსტონს.

დაისი დგებოდა. დაისი — მწვანე კონცხის ზღვის სანაპიროზე. ღამაში იყო ზღვა, უფრო ღამაში — ცა. ბორცვზე ვისხედით ახალგაზრდები — თბილისიდან, მოსკოვიდან, ბაქოდან და თვით შორეული მაგადანიდან... სტუდენტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. შხაპუნა წვიმა მოვიდა... უცებ ამერიკელმა გოგონამ სუზანა ლეზლიმ თავისი წკრილა ხმით „უუუუუნა წვიმა“ წამოიწყო და მდლოდა ყველამ აიტაცა... ეს იყო პირველი დღე. პირველი დღე ამერიკის ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის — „ექსპერიმენტ ინ ინტერნეიშნლ ლივინგის“ დღეგადაცის წევრებთან მწვანე კონცხზე შეხვედრისა. ისინი თორმეტი იყვნენ — სტუდენტები შტატების სხვადასხვა ქალაქიდან. მწვანე კონცხამდე ჩვენს სტუმრებს თბილისი, რუსთავი, მცხეთა და წინანდალი გაუცნიათ, სწორედ წინანდალში შეუსწავლია სუზანა ლეზლის „უუუუნა წვიმა“.

ოც დღეს ვისვენებდით ამერიკელ ახალგაზრდებთან ერთად სანატორიუმ „აქარაში“. ორივე მხარე ცდილობდა მეტი გაეგო ორი სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების შესახებ. მეტი შესაძლებლობა ამისა ამერიკელებს ჰქონდათ, ისინი ხომ ჩვენი სტუმრები იყვნენ. საუბრებიდან ზოგი რამ მათ შესახებ ჩვენც გავიგეთ. საუბარი ხშირად გვქონდა, ძალდაუტანებლად და ურთიერთგაგებისადმი მისწრაფებით მიმდინარეობდა. იყო კამათიც, ხშირად ძალზე მწვავიც, მაგრამ ეს ბუნებრივია, სხვანაირად მათთან საუბრების წარმოდგენა შეუძლებელია. ამერიკელებთან ერთად ყოფნისას ჩვენ ბევრი საბჭოთა კინო-ფილმი ვნახეთ, მათ შორის „კრიჟინაც“. ფილმის ნახვის შემდეგ ერთ-ერთმა ამერიკელმა განაცხადა: „—კარგი ფილმი, მაგრამ მე არა მჭერა რომ თქვენი კოლმეურნეები ასეთ კარგად მოწყობილ სახლებში ცხოვრობდნენ... არ ვიცი ამერიკული პროპაგანდის რა წყაროები-

დან ჰქონდა შექმნილი ასეთი შთაბეჭდილება ოკეანის გაღმელს, მაგრამ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ამერიკულ დენინფორმაციას მასზე გარკვეული გავლენა მოეხდინა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ იქვე მდგომმა ქართველმა გოგონამ ღანა ნუცუბიძემ შენიშნა: „— თქვენ ეს შეგეძლოთ თქვენს თავზე განგეცადათ, გაიცანით ჩვენი კოლმეურნეები, ბინებზედაც ესტუმრეთ...“ და მართლაც, ამერიკელები იყვნენ კოლმეურნეებთან მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედსა და მელექედურში, მათ ჰქონდათ საშუალება ესაუბრათ ახალგაზრდა კოლმეურნეებთან, მათთან ერთად გაეტეხათ პური და ბოლოს ღამე გაეთიქა. კოლმეურნეთა სახლებში, ჩვენს ქართველ გოგონებთან ერთად კოლმეურნეთა ოჯახებში გაათენეს ამერიკელმა სუზანა ლეზლიმ, მარგარეტ როუდიმ და ლორნა კოგზევიმ. არა გვგონია, რომ ისინი და დანარჩენი ამერიკელებიც არ დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ჩვენი კოლმეურნეები მართლაც კარგად ცხოვრობენ და კარგი სახინაო პირობები აქვთ...

ამერიკელთა შორის იყო ერთი — ჯონ რიბბერგი ქალაქ ბალტიმორიდან — საშუალო ტანის, ქერა და ეშმაკურად მოცემი თვალებით, მას, როგორც თვითონ განაცხადა, ყველაზე უფრო კინოს საკითხი აინტერესებდა. ჯ. რიბბერგს დაწერილი აქვს დისერტაცია საბჭოთა კინოზე. მის დისერტაციაზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ ერთი ფაქტი, რომ ჯონი იშვიათად თუ აცდენდა კინო-ფილმებს, რომლებსაც სანატორიუმში ხშირად უჩვენებდნენ ხოლმე... ამერიკელებმა ბათუმში საგასტროლოდ ჩამოსული რუსთაველის სახელობის თეატრის სექტაკლი — „ოტელო“ ნახეს. აღმოჩნდა, რომ მათგან ორმა „ოტელოს“ შინაარსი იცოდა და საერთოდ შექსპირს იცნობდა...

რაც დღეები გადიოდა ქართველი და ამერიკელი ახალგაზრდები უფრო მეტად უგებდნენ ერთმანეთს, იბადებოდა მეგობრობის სული. ხშირად ნახავდით ერთად მოსაუბრესა და მოკამათეს უეიდ ჩეიმბრსა და ლიანა გაბეჩავს, ზანგ ჰელსა და რუს გოგონა ირინე სუზდალცევას, ლალი ჯოხაძესა და დუგლას ლენდფორდს... ამერიკელთა პატივსაცემად გამართულ ნადიმებზე ხშირად მოსმენდით ისეთ მიმართვებსა და სადღეგრძელოებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთგაგებასა და მეგობრობაზე მიუთითებდნენ. ამერიკელ ვაჟებს მოსწონდათ ქართველი ქალების კლემამოსილება, სინაზე, გემოვნებიანი ჩაცმა და რაც მთავარია, განათლების საერთო დონე. ამას ისინი ხშირად აღიარებდნენ. ამერიკელმა ქალებმა კი შეიყვარეს ჩვენი ქართული ცეკვები და სიმღერები. ალბათ, ამიტომ იყო, რომ სუზანა ლეზლი ძალზედ კარგად შეიწყო ქართულ ცეკვებსა და სიმღერებს. მარგარეტ როუდი სულ იმას იმეორებდა, რომ მას არსად არ უნახავს ბავშვები, რომლებიც ასე კარგად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ლორნა კოგზევილი ამბობდა, — „ასეთი ბედნიერი სახეები მე არსად მინახავს, ქართველები ღამაში, ახოვანი, მხიარული და ამაყი ხალხია... დუგლას ლენდფორდი განაცვიფრა ქართულმა სტუმართმოყვა-

რობამ, და მართლაც, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ის და მისი ამხანაგები, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ანასეთის ინსტიტუტში თუ ქართველ სტუდენტ კარლო კალანდძესთან, კოლმეურნეთა ოჯახებში, — ყველგან ქართული გულუხვობა და მეგობრული დამოკიდებულება განიცადეს. როცა ლენდფორდი ქართულ სტუმართმოყვარეობაზე ლაპარაკობდა, ყოველთვის შენიშნავდა, — „მე ამერიკის შეერთებული შტატების სწორედ იმ ნაწილში ვცხოვრობ, რომელიც „სამხრეთის სტუმართმოყვარეობითა“ ჩვენში განთქმული. მაგრამ როცა მე სამშობლოში ჩავალ, ჩემს დიდ მოვალეობად მიმაჩნია, რომ თანამემამულეებს ვუთხრა: „სტუმართმოყვარეობაში საქართველომ ძალზე გავვისწრო“...

დაუფიქვარია სანატორიუმ „აქარაში“ გამართული მეგობრობის საღამო. ამ საღამოზე მღეროდნენ და ცეკვავდნენ ქართველები, რუსები, ამერიკელები... გაისმოდა ქართული „სიმღერა თბილისზე“, რუსული „მოსკოვური საღამოები“, ამერიკული „ჭერი გოუ“ — ამ სიმღერებს მღეროდნენ ერთად ამერიკელებიც, რუსიც, უზბეკიც და ქართველებიც. ცეკვავდა ქართველთან ერთად ქართულს ამერიკელი სუზანა ლეზლიც... გვქონდა საერთაშორისო სპორტული შეხვედრებიც კალათბურთში, ფრენბურთში... ვიგებდით ჩვენ, მაგრამ ამერიკელები ნაწყენი არასოდეს დარჩენილან, მოედანს ხელიხელგადაჭდობილი ვტოვებდით...

დღე დღეს ცვილიდა სერიოზულ საუბრებში, შეხვედრებში, მხიარულ გართობაში და ამერიკელ მეგობრებთან გამოთხოვების დღეც დადგა. მათივე თქმით ამერიკელებს ყველგან განსაკუთრებული სიბოთით ხვდებოდნენ, სრულდებოდა ყველა მათი სურვილი. ამერიკელი ახალგაზრდების დღეგაცის ხელმძღვანელი რენდოლფ მეიჯრი გამოთხოვებისას გვეუბნებოდა: „ჩვენ შევხვდით მრავალ საბჭოთა ადამიანს და ვიგრძენით, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობები და დონე გაცილებით დიდია ვიდრე ჩვენ გვეგონა აქ ჩამოსვლამდე... დიდი, დიდი მადლობა. ჩვენს სამშობლოში საბჭოთა ადამიანებისადმი მეგობრობის გრძნობით გამსჭვალულნი ვბრუნდებით. ის, რაც ჩვენ ვნახეთ და გავიგეთ, — იმაზე კარგია, რასაც ველოდით...“ აი, რენდოლფ მეიჯრის სიტყვები, რომლებიც მან განშორებისას წარმოთქვა...

ისევე, როგორც ამერიკელთა ჩამოსვლის დღეს, მათი გამგზავრებისასაც მწვანე კონცხზე შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ეს იყო მეგობრობის წვიმა — „უუუუნა წვიმა“, რომელიც გამოთხოვებისას სუზანა ლეზლიმ კიდევ ერთხელ დაამღერა... მატარებელი ბაქანს მოადგა. უკანასკნელი ხელის ჩამორთმევა და გულში ჩაკვრა... ამერიკელთა თვალბეჭე მეგობრული გრძნობებით გამოწვეული ცრემლები...

დღე, ასე იყოს ყოველთვის... მტრობის ცრემლები — მეგობრობისა და სიხარულის ცრემლებმა შეცვალოს!

ამერიკელი ახალგაზრდები ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში.





შემოდგომის ყვითელი ფოთლები გვალვით გამოშრალ მიწას რომ დაეფინება, მთის ფერდობებზე ყვავილები ჩასტყუნება და მშვიტი ბელურები გადახსულ მინდვრებს მიუტრიალდებიან, სწორედ მაშინ დაიძვრება კავკასიონიდან ნისლის ქარავანი, ქველა გადმოლახავს და გაშლილ იალქნებად დაადგება გადაბიტვლებულ გორაკებს. შემოდგომის მოახლოვებას ყველაზე წინ მეცხვარეები გათვებენ, გრძელი შოლტის ტყლაშუნით ჩამორეკავენ ცხვრის ფარებს და გულდაგულ დაუწყებენ საზამთრო იალაღებს ძებნას. მეცხვარეებს არც შევენახენი ჩამორჩებია, გაიტანენ თუ არა ვენახიდან უკანასკნელ გოდორს, მზრუნველად ჩამოუვლიან ვაჭებს, დახედავენ, შეამოწმებენ, ზამთრისათვის წელი მაგრად აქვთ თუ უცაბედი ყინვა დააზრობთ და დასამარებთო. შემოდგომით სოფელს თავისი თადარიგი აქვს, ჭირნახულს დაბინავება სჭირდება, მტერსა და მოყვარეს პასუხის გაცემა.

ბაღლები წიგნებს ჩაუჭდებიან, ბებები თბილ წინდებსა და ჯარას, მეწიქვილები დღედაღამ ჩაჭირკიტებენ დოლაბებს — ვინმეო მაშვრალს თბილი პური არ დააკლდეს და გაშლილ სუფრაზე ავად არავინ ახსენოს პურის მომყვანი, დამფტვიანი და გამომცხოზი.

ამ დროს ყველას თავისი დარდი აქვს, თავისი სინარული, ყველა ესწრაფვის დროით მოითავოს საქმე და ფხიანად დახვდეს ზამთარს.

მხოლოდ შიოს არ ადარდებდა შემოდგომის დადგომა, ის ურჩად იჭდა გადახმარ კორომში, მწლაკე თამბაქოთი გამოვსებულ ჩიბუხს ისრუტავდა და თან ისე გაშტერებული დაჭურებდა თავისი ქალმების ჭვინტებს, თითქოს ცხოვრების გამოცანას იქ ეძებოს.

მას შემდეგ, რაც კოლექტივში პენსია დაუნდინეს და უთხრეს ნულარ შეწუხლები, შინ იქეპო, შიოს ყოველგვარი ხალისი დაეკარგა ცხოვრებისა. უძეოდ გადაშენებულს, ადრე დაქვრივებულს შინ გული არ უჩერდებოდა, მალ-მალე ამოირბენდა ამ გადახრიკებულ გორაკზე, თითქოს იქ უნდა ეპოვა გულის წამალი. მოვიდოდა, დაქდებოდა ამოჩემებულ ლოღზე, ჩიბუხს გააწყობდა და გულდასმით დაიწყებდა ქალმების ჭვინტების თვალთვრებას. ამდენს უყურებდა შიო თავის ქალმებს და არასოდეს აზრად არ მოსვლია კოლექტივის პენსია დაეხარჯა, არა, ამისთვის არა სცხებოდა. ის მხოლოდ ერთ საფიქრალს წაეღო, ერთ აზრს უკირკიტებდა, რატომ იყო გამეჩხერებული ეს ოდესღაც მწვანედ მოღალანე ტყე, რატომ უჩიოდა ყველა გვალვას და არ შეეძლოთ რაიმეთი ეშველათ. თავს იმტვრევდა მოხუცი, შეშუპებული ქუთუთოებს ახამხამებდა, გაბანჯგულულ წვერს ბღუჯავდა, ისრუტავდა ჩიბუხს და გულდარდიანად გადაჭურებდა გორაკებს. ასე იყო ყოველ შემოდგომას, აგერ უკვე

მეხუთე წელიწადი იწურებოდა, რაც შიო კოლექტივში აღარ მუშაობდა და შინ უსაქმოდ იჭდა. ძველი მეტყვევები არ ვიყო, — იტყოდა და ღრმად ამოიხრებდა. გულდათუთქული მოიგონებდა თავის მწარე ახალგაზრდობას.

ახლად უღვაწეებდნენ იყო, მთიდან რომ ჩამოვიდა და ამ სოფელში გადაწყვიტა დასახლება. დასახლება, მარჯვედ მოეპიდა გუთონსა და აბურს, სისხლი და ოფლი ჩააქცია მიწაში რომ როგორმე წელში გაშლილიყო. არაფერი ეშველა. ვერ აშენდა. სიღარიბეს ზედ სიყვარულიც დაერთო და თუ სხვები სიყვარულით ანთებულნი ლომებად იქცეოდნენ, შიომ ლამაზი ცოლის შემყურემ, ყველაფერი დაკარგა, დაიხარა; ვინ იცის რა გზას დაადგებოდა, რომ კოლექტივს არ ეშველა, წელში გაშალა დაწიხული კაცი, ცხოვრების გემო გააგებინა, დაანახვა, რომ არც ისე მწარე ყოფილა წუთისოფელი. მაგრამ რა, ახალმა თავმჯდომარემ, აქაო და ქალაქის ხალხი მოვიმადლიეროო, ნორჩი ტყე თითქმის სულერთიანად გაკავა და ტან-სამოლტილი ნაძვები ჩხირებივით გაუიდა ქალაქში. გული მოუკვდა შიოს. ყველაფერი ავიწყდებოდა, როცა გადახმარ და გაჩხილ ტყეს შეჭურებდა. ზედ კიდევ პენსია დაერთო და ამან ბოლო მოუღო მთლად ბერიკაცს. გულში ჩახივია ვარაში, ამოვიდოდა გორაკზე, დაქდებოდა, ისრუტავდა მწლაკე თამბაქოთი გამოტყინლ ჩიბუხს და ქალმების ჭვინტებს ათვალთვრებდა.

ერთ დღეს უცნაური რამ მოხდა სოფელში. დიდ-პატარა უთენია გარბოდა გორაკისაკენ, მიწას ზომავდნენ, მერე პალოებსა ჰყრიდნენ, ორმოებს სთხრიდნენ და თან ისე გაჩქარებული მუშაობდნენ თითქოს წარღვნა ემუქრებოდათ და ეკარის თავშესაფარს აშენებდნენ. შიოს არაფერი უთხრეს, პენსიონერია, რატომ შევაწუხოთო. ბაღლებს დასცდათ ისევ „საიდუმლო“ — ბერიკაცმა გაიგო, რომ სოფელს განეზრახა ახალი ტყის გაშენება.

აბორჯდა შიო. თვითონაც არ იცოდა რატომ დაიხდა ქალმები, ბარს ხელი წამოავლო და ხუსხუსით გაეშურა გორაკისაკენ. მივიდა, დაჭრა ბარი, გადმოგორა ერთი ბელტი, კიდევ დაჭრა, ისე ძლიერ, რომ მუხლამდე ჩაეფლო მიწაში. რას მოერეოდა მიწას ბერიკაცი. მიწამ აჭობა, ჩაქდა დაღლილი და გაუჩრდა. მეორე დილას კიდევ ამოვიდა გორაკზე, სადამომდე იმუშავა. სხვები თუ ყოველ გოჭს სთვლიდნენ და ბრიგადირს ემუდარებოდნენ შრომადღეების დაწერას, შიო განმარტობით იდგა, ურტყამდა ბარს დაგვალულ მიწას, იქნევდა მოღლილ მკლავებს, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ ის აინუნშიაც არ აგდებდა.

სთხრიდა და სთხრიდა ორმოებს. არ დაეხსნა, კვირა დღესაც გამოვიდა, დღესასწაულზეც გამოვიდა. დამიწეზებულებით აიკვიტა და მთელი კვირა შეაწურა საქმეს. არ შეუშინდა ნეტერის ქარს წელში რომ ბორკილივით ჰქონდა გაყრილი, არც ქოშის მოერიადა, აჩვენა სოფელს, რომ ის არ უნდა გაემტებინათ შინ საჭდომად, თავისი სიცოცხლე, ჯანი და ახალგაზრდობა სოფელს შეაწურა, სულ ამ მაღლიან მიწას დაჰკანკალბდა, და როცა მისი გულისწუხილი გაიგო, როცა მიხვდა ცხოვრების ჩარხის ტრაალს, სწორედ მაშინ უთხრეს დაისვენეო. არა, შიო არ დაისვენებდა, ფეხშიშველი გაივლიდა ამ შეჭირბულულ მიწაზე, დაატყაპუნებდა დააკორძებულ ფეხისგულებს, რომ უფრო ახლოს ეგრძნო მიწის მაღლი, ძარღვებში ჩაეჭედა მისი ტრფალი. ბერიკაცი იყო? ვინა თქვა, ის ახლა იწყებდა ცხოვრებას, განა ტყე რომ აშრიადებოდა და დაგვალულ მიწას ჩრდილი დაადგებოდა, ეს სიბერე იქნებოდა? განა ამ ნორჩ ხეებთან ერთად არ იწყებოდა მისი ცხოვრებაც? ის ხომ ამ მუხებივით მარად ახალი იყო და უცვეთი, მერე რა, რომ ქოშინებდა, სამაგიეროდ გული ჰქონდა მთელი, გული რომელიც მაინც არ გატყდა და ამდენ ჭირ-ვარაშს გაუძლო. შიომ გადათხარა მთელი ფერდობი, მერე ქარვით შეიჭრა შინ, დასტაცა ხელი შევროვილ ფულს, მთელი წლის პენსიას, ნაცნობ შოფერს სატვირთო მანქანაზე მიუჭდა და სანერგესაკენ გაეშურა. მთელი სანერგე დააცარიელა, ჩამოწიდა სოფელში, სათითაოდ აიტანა გორაკზე და შეუდგა დარგვას. დარგა და როგორ დარგა! ავ თვალს შეეხარბებოდა. ეგონა, დაამთავრა დარგვა, რომ დაინახა უკანასკნელი ორმო,

ძალიან ღრმა და განიერი. ნერგი კა აღარა ჰქონდა. დაღონდა შიო. ცრემლიც კი მოერია. გადაწყვიტა თავისი ბალიდან წამოეღო ნერგი, მაგრამ სახლამდე მუხლები ვეღარ მიიტანა. შუაგზაზე ჩაჭდა შემოსული რუნდა და კვლავ გორაკისკენ გამოსწია. მივიდა ცარიელ ორმოსთან, მის პირზე მიწვა. კარგა ხანს იწვა. თითქოს რაღაცას ელოდა, დღემდე უცნობს და საშიშს. მას არ დაუგვიანია. გარიურაუისას მოვიდა.

შრიალბეს შიოს ტყე, ნავალევ მიწას შევბა მიეცა, ჩრდილი დაადგა სოფელს, იმატა დოვლათმა და ჭირნახულმა. ის ღრმა ორმო არ ამოუვსიათ სოფელიებს, დიდი მუხა დარგეს, თითქმის ზედ შიოს საფლავის გვერდით.

ბუბუნებს მუხა და თითქოს შიო, ეს გაუტყებელი ქართველი გლგეკაცი ესაუბრება დედა-სამშობლოს, ჯან-მაგრად იყავ ჩემო მიწავ, ჩემო ტყევ და მინდორო.


გაივლის მგზავრი, სიცხით შეწუხებული გადმოვა გორაკზე, ჩამიხსნებს მუხის ჩრდილში, თავს მოხსნის ხურჯინს, წამოგორებს ტიქტორას, აავსებს გლგეკაცის ხელით დაწურულ ღვინოს, და თავისთვის იტყვის:

— ლმერთო, დალოცე ვინც ეს მუხა დარგო, რომ დაღლილ მგზავრს მის ჩრდილში დაესვენა.

შიო ვერ გაიგებს. ის რომ ცოცხალი იყო, ალბათ, ისევ თავის ქალმების ჭვინტებით იქნებოდა გართული, იქნება ამ სიტყვებისათვის ყურადღებაც არ მიეცეოდა, მაგრამ მგზავრის ამ დალოცვას გაიგებს მუხა და ერთს ამაყად შეიშრიანებს.

საღლაც შაშვი დაჭაბუხებს, მაშვრალი გლგეკაცი ურმულს გასწვლავს, ბედნიერი დედა ჩვილს დააპურებს, მზე ამოვა და ჩავა, თავისი რიგით წავა ცხოვრება, როგორც მიდიოდა დასაბამიდან, მიდის დღეს და ივლის უკუნისამდე.

უცვადია შიო მუხის ფესვივით, გაუტყებელია გლგეკაცის მარჯვენა, როგორც ხარის ქედით გახეხილი, გაოფლილი უღელი.



ბელა ვიკარი დაიბადა 1859 წლის პირველ აპრილს უნგრეთის პატარა სოფელ ჰეტეშში (შემოდის ოლქი). მისი მამა იანოშ ვიკარი თავისი დროისათვის განათლებულ ადამიანად ითვლებოდა. ვარდა უნგრულსა, იცოდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ძველ-ბერძნული და ებრაული ენები. მის ბიბლიოთეკაში ბლომად იყო წიგნები უცხო ენებზე. მასწავლებლად ყოფნისას მას მიმოწერა ჰქონდა სახელგანთქმულ პოეტ-რევოლუციონერთან შანდორ პეტეფისთან და კორესპონდენციებს აწვდიდა მას უფროს „ცხოვრების სურათებისათვის“, რომელსაც იმ ხანებში პეტეფი რედაქტირობდა.

პატარა ბელა ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა და ბეჭითად სწავლობდა. მან ადრევე გაითქვა სახელი, როგორც შეუღარებელმა სტენოგრაფმა, როგორც მთარგმნელმა და ხალხური ლექსების შემკრებმა.

ხალხური ლექსებისა და სიმღერების შეგროვების სიყვარული მას დედამ ჩაუნერგა. 1886 წელს დიდი გაჭირვებით შეიძინა ფონოგრაფი და შეუდგა მოგზაურობას უნგრეთის ქალაქებსა და სოფლებში.

1901 წლის პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ბელა ვიკარის მიერ შეკრებილ და წარმოდგენილ ლექსებისა და სიმღერების ჩანაწერების კრებულს ოქროს მედალი მიენიჭა, და იგი საპატიო სიგელით დააჯილდოეს.

1906 წელს უნგრეთის აკადემიამ გამოსცა ვიკარის 600 გვერდიანი მეცნიერული გამოკვლევა „ხალხური პოეზიის საიდუმლო“.

მან სტენოგრაფულად ჩასწერა 7000-ზე მეტი ხალხური ლექსი, რომელთა გამოფენა დღემდე გრძელდება. მის მიერ შეკრებილ სიმღერებთან და ლექსებთან დაინტერესდნენ ცნობილი უნგრელი კომპოზიტორები ზოლტან კოდაი და ბელა ბარტოკი, რომლებმაც შეისწავლეს ბელა ვიკარის მეთოდი და შემდეგში ფართოდ გამოიყენეს იგი თავიანთ შემოქმედებაში.

ბელა ვიკარმა თავისი ცხოვრება ხალხს შესწირა. იგი ხალხის გულის მესაიდუმლე იყო და მადლიერმა სამშობლომ ღირსეულად დააფასა იგი. დღეს მის სახელს ატარებს სკოლები, პიონერთა რაზმები. იმ სახლებს, სადაც იგი ცხოვრობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, მიკრული აქვს მარმარილოს მემორიალური დაფები, მის სახელს ატარებს უნგრეთის ქალაქების ქუჩები, კულტურის სახლი. მან ჭეშმარიტად დაიმსახურა საყოველთაო-სახალხო სიყვარული.


„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის სამზადისს ბელა ვიკარი გასული საუკუნის მიწურულში შედგომია. აი რას წერს ამის შესახებ უნგრელი მკვლევარი პალმა ბელკენი:

„ორმოცდაათი წლის ბელა ვიკარმა შეისწავლა ქართული ენა მხოლოდ იმისთვის, რომ თავის თანამემამულენი გასცნობოდნენ მეთორმეტე საუკუნის ქართული პოეტის შოთა რუსთაველის უკუდავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსნის“. იგი რვა წლის განმავლობაში სწავლობდა ამ ენას და ამდენი ხნის დაძაბულმა შემოქმედებითმა შრომამ სასურველი შედეგიც გამოიღო: მან დაასრულა პოემის უნგრულ ენაზე თარგმნა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ უნგრეთის აკადემიის ხელნაწერთა საცავში სიყვითლე დაკრულ ვაზეთის ფურცლებსა და შენიშვნებს შორის მე წააწყდო

შავ ტყავში ჩასმულ მოზრდილი ზომის რვეულს. იგი დათარიღებული იყო 1908-1909 წლებით. ამ რვეულში ბელა ვიკარის ხელით ჩაწერილია ქართული ენის გრამატიკის წესები და თვით პოემის ნაწილის თარგმანის შავი ვარიანტი“.

„რვეულის გადაფურცელისას მე გამახსენდა, რომ ორმოციან წლებში ბელა ვიკარმა ერთხელ



მომიტხო, როგორ ისწავლა ქართული ენა. ფინეთში პირველად მგზავრობისას, 1899 წელს იგი ეწვია ჩვენს სახელოვან მხატვარს მიხაი ზიჩს, რომელიც იმ ხანებში ლახტაში, — პეტერბურგის, ახლანდელი ლენინგრადის, მახლობლად ცხოვრობდა. ამ ვიზიტის დროს ზიჩიმ ბელა ვიკარს აჩვენა მის მიერ დასურათებული შოთა რუსთაველის პოემის 1888 წლის საიუბილეო გამოცემა და უთხრა: ჩემი ილუსტრაციებიდან მე ამას ყველაზედ კარგად ვთვლი. მე თქვენ ვთხოვთ გადათარგმნოთ ეს წიგნი უნგრულ ენაზე“.

იმ ხანებში ბელა ვიკარი ფინური ეპოსის „კალევალას“ თარგმანზე მუშაობდა და, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ხელი მოეკიდებინა რაიმე სხვა სამუშაოსათვის, მაგრამ დიდი მხატვარის ამაღლებელი სიტყვები მას არ დაეწყებია.

„ მე უკვე ორმოცდაათ წელს გადავადიხე — განარბობდა თბრობას მსცოვანი სწავლული, როცა დიდის გაჭირვებით და ასეთივე დიდი გულმოდგინებით შევუდექი ქართული ენის შესწავლას. როდესაც მე უკვე მეგონა, რომ უკვე საკმაოდ დავეუფლე მას და შემოიძლია პოემის თარგმნას მივყო ხელი, სამწუხარო რამ აღმოვაჩინე: ქართული ენის, რომლის უნგრულად თარგმნას ვაპირებდი, დაწერილია ძველი, შეიდასი წლის ასაკის მქონე ქართული ენით და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელი მოვანდომე ამ ენის შესწავლას, პოემის ორიგინალი ჩემთვის გაუგებარი აღმოჩნდა. ჩემთვის ნათელი და უმკველი გახდა, რომ ქართული ენის საფუძვლიანად შესასწავლად მარტო მე ვერას ვახდებოდი. ამისათვის საქართველოდან მოვიწვიე ქართული პოეზიის კარგი მცოდნე და თანაც ცნობილი ესპერანტისტი გიორგი წიკლაუ-

რი, რომელიც იმავე დროს ძველ ქართულ ლიტერატურასაც კარგად იცნობდა. ვარდა ამისა იგი თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ევროპულ ენაზე. ნახევარი წლის განმავლობაში მე ყოველდღე, ოთხ-ოთხი საათი ვთარგმნიდი ესპერანტოზე, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე ქართულ ლექსებსა და ფრაზებს“.

„მე და გიორგი წიკლაურმა ჯერ ახალი აღთქმის წიგნი წავეითებთ ქართულად, შემდეგ ქართულ ხალხურ პოეზიას ჩავუყვეით და ბოლოს რუსთაველის ეპოსს შევუდექით. და მხოლოდ მაშინ, როცა მე ვიგრძენი, რომ უკვე საკმაოდ ვძლიე ქართული ენის ყველა სიძნელე და თავისებურებანი, ხელი მივყავი პოემის თარგმნას. იგი 47 სიმღერისაგან (თავისაგან) შესდგება. სამუშაოს დასაწყისშივე სიხარულით დავრწმუნდი, რომ მიხაი ზიჩი მართალი იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ჭეშმარიტად ღირსი გამოდგა ევროპულ ლიტერატურაში შესვლისა“.

ბელა ვიკარი ფრიად საფუძვლიანად ემზადებოდა ამ ნაწარმოების სათარგმნად. ერთ-ერთ მის სტენოგრაფულ რვეულში აღმოჩნდა ცნობები საქართველოს შესახებ. ქართული ენის შესწავლისას მას გადაუწყვეტია გაცნობოდა საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ქართულ ფოლკლორს, დაინტერესებული ყოფილა ქართული ტანსაცმლით და ქართული კერძებითაც კი. მხოლოდ ამ სერიოზული წინასწარი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ შედგომია იგი პოემის თარგმნას.

ამ პოემის თარგმანზე მისი მუშაობის შესახებ დროგამოშვებით გაზეთებიც ათავსებდნენ ცნობებს. აი, მაგალითად, რას სწერდა 1912 წლის 5 ივნისს გაზეთი „მადიარ პირლაპი“.

„აკადემიის სხდომაზე მისმა წევრ-კორესპონდენტმა ბელა ვიკარმა დამსწრეთ გაცნო აქამდე სრულიად უცნობი გეოგრაფიული (ქართველი) პოეტის შოთა რუსთაველის ნაწარმოები, ეპიკური რომანი, „ვეფხისტყაოსანი“.

„რუსთაველი ცხოვრობდა XII საუკუნეში, იმ დროს, როცა გეორგია კავკასიის მკვიდრთა მძლავრი და მოწინავე კულტურის ქვეყნად იყო აღიარებული... მის მიერ წარმოდგენილი პოემის ნაწყვეტები შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენა ვიქონიონთ დედანის სიმშვენიერებზე და გვარწმუნებს იმაში, რომ პოეტი, რომელიც ცხოვრობდა 700 წლის წინათ, აქამდე არ მოძველებულა და მისი ქმნილება თარგმნილი და გამოცემული უნგრულ ენაზე ღირსი იქნება ორიგინალისა“.

რვა წლის განუწყვეტელი თავდაუდებელი შრომის შედეგად მიღწეული იქნა ეპოსის თარგმნა და ქართული ენის შესწავლა. 1918 წლის ვაზაფხულზე, ორმოცდაერთი წლის წინათ, ეს ქმნილება გამოცემულ იქნა უნგრულ ენაზე, რისთვისაც ბელა ვიკარმა მიიღო დამსახურებული მადლობა.

„ამრიგად ამიერკავკასიის მკვიდრი პატარა ხალხის ეს პოეტური განძი, პირველად, თუ არ ჩავთვლით მის რუსულ თარგმანს, — გამოვიდა ევროპულ ენაზე, — დასძენს პალმა შელკერი და განაგრძობს: — ბელა ვიკარს ძალზე უყვარდა ეს მისი ნაშრომი. სიკვდილის წინ, 1945 წლის ივნისში, მან უნგრეთის კულტურის სამინისტროს მოსწერა წერილი, რომლითაც ითხოვდა, რომ ხელმოკრედ ყოფილიყო გამოცემული რუსთაველის პოემა და ამით ერთგვარი მადლობა ყოფილიყო გადახდილი საბჭოთა ხალხისათვის უნგრეთის განსათავისუფლებლად უანგარო ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისათვის.

იმავე წლის ზაფხულში 86 წლის მოხუცმა აღ-



ნაქერალის ქედის გადაღმა, რაჭველებში, ხშირად გავიგონებთ პატარა, ლეგენდის მსგავს ამბავს იმაზე, თუ მთვარიანში საშოვრიდან დაბრუნებული ერთ რაჭველს როგორ მოეჩვენა შარავჯალ ნაძვის ტოტებში გამოცხადებული შუქზე მდინარე შაორი და რა თვალნათლივ გამოდგა მისთვის ეს მოჩვენება — ყინულივით ცივი შაორის ფსკერი გახდა მისი სამარე.

ახლა შაორის მთელი დაცემული ვაკე შაორის ზღვას უკავია, და ზღვა შარავჯალ აღარავის მოეჩვენება...

დაგულებული შაორი ზღვასავით ღელავს, ტორტმანით გამოზრდიან ნაპირისაკენ აქორჩილი ტალღები, და მშვიდად, უძრავად წევს ზღვა წყნარ ამინდში. ზღვის სილურჯები კომპიანობენ თვალადი, ტოტებდამრეცილი მოშაო ნაძვები, აშოლტილი წიფლები.

... ასეთი სანახაობა იშლება თვალწინ, როცა შაორის გეოლოგიური პარტიის კანტორის ფანჯარას გამოაღებ.

უკვე კარგად არიან ცნობილი შაორების ადამიანები, მათი საქმეები. დღითი დღე იხვეჭენ სახელს შაორელი გეოლოგები.

შაორი... ეს ლამაზი კუთხე თეთრი ნახშირისა და ქვანახშირის წყაროდ გადაიქცა. მაღლიან ბუნებას მართლაც აქ დაუბერტყია თავისი სიმდიდრისა და სიუხვის კალთა.

შაორის ქვანახშირის ძალა მალე კომუნისთვის დიად მშენებლობათა ფოლადის ძარღვებში დაიწყებს ფეთქებას.

ნაჭაფი მანქანა ტყიანი გზით მიჰყვება შედმაროს.

— აი, იქ, სადაც ტყის ზოლი მუქდება, სწორედ იქ, ცას რომ ჰკვეთს, — ამბობს გეოლოგიური პარტიის უფროსი დიმიტრი ვაჩნაძე, — ჩვენი 194-ე ჰაბურლილია, იქ მიხეილ ჭიოევის ბრიგადა მუშაობს, ყოჩაღი ბიჭები არიან. უზნის უფროსის ჩიხლაძისა და ჭიოევის ხელმძღვანელობით ისინი იბრძვიან კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელწოდების მოსახვეჭად, თავს არ ზოგავენ და მარჯვენებლებიც კარგი ვაჩნაძე. დიდი ხანი არაა, რაც დამთავრეს 194-ე ჰაბურლილის გამართვა.

ჩვენი მანქანა ჰაბურლილ 194-თან შეჩერდა. ავიარეთ პატარა კიბე და საბურღად დაზვასთან აღმოვჩნდით.

ჭიოევი თავაზიანად შეგვხვდა. საშუალოზე ოდნავ მაღალი კაცი, მხრებგანიერი, სახემწითური. ბრე-

ზენტის პიჯაკი აცვია, გრძელყელსა და ჩექმები გაუპრიალებია. ოსტატმა გავაცნო ცვლის ოსტატები — ნიკო სვანიძე, კარლო ნებურიშვილი და ხამაც ტუბეკოვი, უფროსი მუშა გიორგი ოპანენიანი, უმცროსი მუშა მატრონა კრიცენკო.

საინტერესო პიროვნებაა ჭიოევი. იგი ბურღვის საქმის ნამდვილი ოსტატია. 80 წელი გატარებული აქვს ღია ცისქვეშ. ჰაბურლილებზე.

— გეგმა რომ წარმატებით შესრულდეს, — ამბობს ბრიგადირი ჭიოევი, — საქირთა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი ავარია. არ უნდა დაირღვეს ბურღვის რეჟიმი. ეს არ მოხდება, თუ ბრიგადის ყოველი წევრი მტკიცედ დაიცავს საწარმოო დისციპლინას, არც ერთ წუთს უნაყოფოდ არ დაკარგავს.

— სწორია! — შენიშნავს ჰაბურლილები ახლახან მოსული უზნის უფროსი ჭუმბერ ჩიხლაძე. მას ხელში უკავია შეკეთებული სატები, ჩანს დაუღლია მძიმე ტვირთს. ჭუმბერი ტანჯმუხი ახალგაზრდაა; მისი შავი, შეტეხილი წარბები მისსავსე ვაჟაკობაზე მეტყველებს.

როგორია ბრიგადის შრომითი მაჩვენებლები? ამას წინათ ბრიგადამ დამთავრა ჰაბურლილის № 188 დადგმა და ამუშავა კიდევ. ამისათვის მას მიცემული ჰქონდა 20 თვე. საპატიო საქმეს კოლექტივმა მხოლოდ 18 თვე მოანდომა.

ახალი ჰაბურლილის დასრულებას და ამუშავებას დიდად შეუწყვეს ხელი ელექტრომონტიორებმა ჩანიკო მიქაბერიძემ და დავით კაციტაძემ. ტუქში წაქცეული ხე ხშირად სწყვეტდა მაღალი ძაბვის მავთულებს, ელექტრომონტიორები არ უწყვედნენ ანგარიშს მანძილის სიშორეს, სამუშაო სირთულეს, ამინდს. ისინი ყოველთვის ვადაზე ასრულებდნენ დაკისრებულ სამუშაოებს.

მიხეილ ჭიოევის ბრიგადაში მოსწავლე ახალგაზრდები არიან, რომლებიც სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მთელი მონღოებით უსხედან წიგნებს ცოდნის გამდიდრებისთვის. უფროს მუშას გივი პეტრიაშვილს სურს გახდეს მედიცინის მუშაკი, ხოლო ვასილ კანდელაკს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გეოლოგი გამოვიდეს.

შაორის გეოლოგიურ პარტიაში სასახლო ბრიგადად ითვლება აკაკი გოგოლაშვილის კოლექტივი, რომელიც წარმატებით ასრულებს საგეგმო დავალებებს და ენერგიულად იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოსახვეჭად.

შაორის გეოლოგიურ პარტიაში ყველა იცნობს მამაც ბრიგადის წევრს, გამოცდილ მბურღავს ალექსანდრე ჩერეპოვს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ ქვანახშირისა და მადნეულების საძიებო ტრესტში დაიწერა ბროშურა მისი მუშაობის გამოცდილების შესახებ.

...დღედაღამ, დარში თუ ავდარში არ ჩერდება ცაში ასვეტილი კოშკურების მუშაობა, დღედაღამ ბურღვენ შაორის ნიადაგს პობეიტებით მოჭედული სატების გვირგვინები, ქანები იბურღება, ხანამ წიაღიდან ბაგირით ამოტანილი საბურღი მილი არ აუწყებს გეოლოგებს, რომ სატები უკვე ქვანახშირის შრეებში ჩავიდა. ამის შემდეგ ჰაბურლილები მუშაობა წყდება, რუკაზე გადააქვთ ქვანახშირის განლაგების სიღრმე, შრის სისქე და სხვ. შემდეგ ბრიგადა სხვა ადგილზე იწყებს ჰაბურლილის დამონტაჟებას და ისევ მოდის მოძრაობაში საბურღი დაზვის ჯალამბარი...

... მოსალამოვდა, ბინდმა მოიცვა ნაქერალისა და საწალიკის ქედები, მორიგმა ცვლამ მუშაობა დამთავრა და წიფლნარში დაკეცილი ფართო გზით იწყებს დენა სახლებისაკენ შაორის გეოლოგიური პარტიის მუშებმა. პატარა დასახლებულ პუნქტში კეთილმოწყობილი სტანდარტული სახლებია, მუშების ბავშვებისათვის არის დაწყებული რუსული და ქართული სკოლები, აბანო, კლუბი...

კლუბი ახლახან არის აგებული. მის სცენაზე ხშირად გამოდიან თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივის წევრები.

დღესაც კი, საღამო უამს, კანტორაში შემოვიდა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის ხელმძღვანელი დიმიტრი მანდარია და კონცერტზე მიიწვია გეოლოგიური პარტიის მუშა-მოსამსახურეები.

ჩვენ ფართო გზით გავსწიეთ კლუბისაკენ.

— ალიოშა გოგნაძე იცეკვებს? —

პიტოხა მანდარიანს ერთ-ერთმა მუშამ.

— აუცილებლად! მანდარია გატაცებით ლაპარაკობდა თავისი საყვარელი საქმის შესახებ...

— დღეს პირველად იცეკვებს კოლექტორი ლინა შარკოვა, ძლივს ვაზებდინე, მორცხვობდა. ყოჩაღად იცეკვავს „იაბლოკოს“, სხვა რუსული იცეკვებიც ეხერხება.

კლუბს მივუახლოვდით. სასიამოვნო სიმღერის ხმა ისმოდა...

— ვინ არის, რა ხვედროვანი ტენორი აქვს?!

— ეს ოთარ დვალი გახლავთ, ჩვენი მძღოლი. დღეს ძალზე ძნელი რების შეასრულა. მთის ფერდობებზე წვიმებმა გზა გადაარცხა, მაგრამ მარჯვნივ მძღოლმა მანქანა იქ გაატარა, სადაც ჭერ არავის უფლავა, ყველა გააკვირვა ოსტატობით.

— მძღოლიც კარგია და კარგადაც მღერის.

— რა გგონია, არც ელექტრომონტიორი ჩანიკო მიქაბერიძეა ნაკლები, ზარივით რეკს მისი ხმა, — ჩაერია ლაპარაკში ერთ-ერთი უზნის უფროსი.

კლუბთან გავჩერდით; კედელზე — განცხადება:

„დღეს, შაორის გეოლოგიური პარტიის მუშათა კლუბში თვითმოქმედი წრეების ძალეებით წარმოდგენილი იქნება ანტონ პავლეს ძე ჩიხოვის პიესა „დათვი“.“

უღრუბლო ცაზე ახალი მთვარე გამოჩნდა. მთლად მოიწმინდა. ცა ჰგავდა შაორის ველზე უძრავად გაწოლილ ზღვას თუ ჩვენს წინ უნაპიროდ გადაშლილი ზღვა მოავადე ფირუზის ფერ ცის მაღალ გუმბათს? დამშვიდებულ ზღვაში ვარსკვლავები ჩაძირულიყვნენ და კიაფობდნენ. შორეული მთები უფრო მიღურჩებულყვნენ ბინდში.

მესამე ზარი რომ დაირეკა, კლუბში შევედით.

...ასე შრომობენ და ცხოვრობენ შაორელები.

გეოლოგიური კვლევა-ძიება ამ ძვირფასი წიაღისეულის დიდ მოსავალს გვპირდება.

კოტე მისნი

წერა, თუ რა შრომა გასწია ამ პოემის სათარგმნად და ქართული ენის შესასწავლად. იქვე იგონებს იგი, თუ როგორ აჩუქა მხიბი ზიჩიმ სტამბას რუსთაველის პოემის საკუთარი ილუსტრაციის ერთი სურათი, სახელდობრ ის, სადაც გამოსახულია ქართველ რაინდთა მიერ თამარ მეფისადმი „ვეფხისტყაოსნის“ ძღვნად მიღწევა. სურათზე გამოსახულნი პირნი შემოსილნი არიან უნგრულ ეროვნული ტანსაცმლით. სტამბის ხელმძღვანელობას ეგონა, რომ ეს ზიჩიმ ხუმრობით გააკეთა, მაგრამ, — შენიშნავს ვიკარი, — უნგრული და ქართული საპარადო ტანსაცმელი ერთმანეთს ძალზე გვანანო.“

ბელა ვიკარი უნგრეთში და, საერთოდ, ევროპაში, ცნობილია როგორც უდიდესი ფოლკლორისტი, ლიტერატურის მკვლევარი და მთარგმნელი. მის მიერ უნგრულ ენაზე თარგმნილი „შილერის, გიეტეს, ლა ფონტენის, იბსენისა და ევროპული ლიტერატურის სხვა თვალსაჩინო კორიფეთა ნაწარმოებები უნგრეთში სანიმუშოდ არიან მიჩნეულნი. განსაკუთრებით გაითქვა ბელა ვიკარმა სახელი ცნობილი ფინური ეპოსის „კალევალას“ შეუღარებელი თარგმანით, რომელსაც 22 წელი მოანდომა. ამ თარგმანისათვის იგი არჩეულ იქნა ფინეთის აკადემიის წევრად. თვით ფინელი სპეციალისტები

ასე აფასებენ ამ შრომას: „ჩვენი ეპოსის ორიგინალის დაკარგვის შემთხვევაში საკმარისია მისი ზუსტად და სრულყოფით აღსადგენად მივმართოთ ბელა ვიკარისეულ უნგრულ თარგმანსო.“ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს დიდი ფილოლოგი უნგრულ ენიდანაც თარგმნიდა სხვა ევროპულ ენებზე. იგი შანდორ პეტეფის პოეზიით იყო გატაცებული და მასზე მრავალი საჭარო ლექცია აქვს წაკითხული. მანვე თარგმნა უნგრულად ყველა ლექსი, რაც კი მიუძღვნიათ უცხოელ პოეტებს უნგრეთის ამ სასიქადულო პოეტ-რევოლუციონერისადმი.

გიორგი ჩიხაძე

ცნობილ ამერიკელ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს — ერნესტ ჰემინგუეის, დაბადებიდან შეუსრულდა 60 წელი.

ფრანგული გაზეთის „ლე ფიგარო ლიტერერის“ რეპორტიორი ესაუბრა ერნესტ ჰემინგუეის. შეკითხვაზე, თუ როგორ მუშაობს იგი, მწერალმა მიუგო:

— თქვენ იცით, რომ მე უწინარეს ყოვლისა, ჟურნალისტი ვარ. ჟურნალისტი ვიყავი ყოველთვის. ჟურნალისტი ვარტყვე პიკასოც, რომელიც მოგვიტონრობს ყოველივე იმას, რაც მის ირგვლივ ხდება. სწორედ ასეთივე იყო გოიაც. განსაკუთრებით — გოია. მიაქციეთ ყურადღება მის სამხედრო ესკიზებს ანდა ხარების ბრძოლათა ესკიზებს.

რეპორტიორი შეეკითხა ჰემინგუეის შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

— ეს არ შემძლია გითხრათ, — მიუგო ჰემინგუემ. — არ მინდა გადმოგცეთ მარტოოდენ ცარიელი მოსაზრებები იმის შესახებ, რასაც ვწერ.



არ მინდა ატყდეს ხმაური იმის ირგვლივ, რომ ვაკეთებ „პაბლისიტის“ (რეკლამას). როცა მე ვმუშაობ რაიმეზე, გაფურბივარ „პაბლისიტის“. მუშაობისათვის საჭიროა ყურადღების დაძაბვა და

ხანდახან ისიცაა საჭირო, რომ უხეში იყო, რათა გარემომოყოფთ წარსტაცო შენი საკუთარი სიქმვიდე. ახლა მე გაძლიერებული ტემპით მომიხდა მუშაობა, რათა დავწერო წინადადებები უხეშად წიგნი. იმ წიგნმა გამიმართლა, ხოლო ახლა კონტრასტ არ დავძრავ, სანამ არ დავრწმუნდები, საყურადღებო იქნება თუ არა ის, რაზედაც ახლა ვმუშაობ. პირში წყალი უნდა ჩავიგუებო, და ვფიქრობ, მოვახერხებ ამას.

„მოხუცი და ზღვის“ შესახებ ჰემინგუემ აგრეთვე არაფრის თქმა არ ისურვა. „როცა ნაწარმოები დამთავრებულია, — თქვა მან, — მასთან სამუდამოდ უნდა გაწყვიტო კავშირი. აქ ისეა, როგორც ნადირობის დროს: დამთავრებული წიგნი მოკლულ ღოძსა ჰგავს. რაღა სადაო დავგრჩენია მასთან? სავსებით შესაძლებელია, რომ ვიღაც მნიშვნელოვან თანხას გადაიხდის დიდი, მოკლული ღოძისათვის; ეს ძალიან კარგია, მაგრამ ყურადღება უკვე სხვა ღოძს ექცევა. ახლა მე ვფიქრობ ჩემს ახალ წიგნზე, და არა მოკლულ ღოძზე“.


„ერნესტ ჰემინგუეის“

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენიდან პრალაში მიიღეს ჩეხოსლოვაკური სენსაცია — „ლატერნა მაგიკა“. უცხოელი ტურისტები უკვე აღარ ჩერდებიან ვლტავას სანაპიროზე, არ ეჩქარებათ ბილეთის შექმნა ნაციონალურ თეატრში ან სტადიონზე, საერთაშორისო შეხვედრაზე. ისინი უმაღლეს მიემართებიან პრალის უახლესი კინოთეატრის — „ლატერნა მა-

გიკას“ სალაროსკენ. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ეს არაჩვეულებრივი წარმოდგენა ბრიუსელში ნახა, მაგრამ გამოფენის მრავალ დამსწრეს არ ჰქონდა საშუალება შეეძინა ბილეთები, რომლებსაც არანაშულად ზღაპრულ თანხად აფასებდნენ გადაწყვიდელები. ბილეთის შექმნათა რიგებმა გადაინაცვლეს პრალაში: „თუ შეიძლება, მხოლოდ ერთი ბი-

ლეთი!“ — ხშირად გაიგონებთ სენსის წინ და პასუხი, ჩვეულებრივ, ყოველთვის ასეთია: „— თვის ბოლომდის ყველა ბილეთი გაყიდულია“. ახლა პრალის „ლატერნა მაგიკაში“ შეიძლება ნახოთ ბრიუსელის პროგრამა, რომელსაც დამატებული აქვს რამდენიმე ახალი ნომერი. „ლატერნა მაგიკა“ — ესაა პრალის ნაციონალური

თეატრის ექსპერიმენტული სცენა, რომელიც ბრუნავს, ძირს ეშვება, მაღლა ამოდის და წამაღუწუმ იცვლის სახეს. კულისების მაგივრობას ეწევა დიდი ეკრანი, სადაც უჩვენებენ დიაპოზიტეფურ გამოსახულებებს, ხოლო მის წინ ავტომატურად ჩნდებიან და ისევ ქრებიან მცირე ეკრანები. კინოსაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ავსებს მსანიობთა გამოსვლები. წარმოდგენის დაწყებიდან დასასრულამდის მასურებელი განუწყვეტლოვ გაოცებულია. მას იტაცებს გამომსახველობითი ტრიუკები. იგი, მაგალითად, ხედავს ეკრანზე მსახიობებს, რომლებიც ლაპარაკობენ, მიდიან ტრამპით და უცბად ეს მსახიობები აღმოჩნდებიან მის წინ სცენაზე და განაგრძობენ თავიანთ დიალოგს. ორკესტრანტთა ზემოთ ჰაერში ცეკვავენ ბალერინები, რომელთაგან მოცეკვავე ირჩევს თავისთვის პარტნიორ ქალს და განაგრძობს მასთან ცეკვას სცენაზე. ყმაწვილი ჩეხი გოგონა — კონფერანსიე — ხელმძღვანელობს პროგრამას ჩეხურ და ფრანგულ ენებზე. და იგივე გოგონა ჩნდება სხვადასხვა კინო-ეკრანზე ნაირფეროვანი სახით და ლაპარაკობს ერთ და იმავე დროს გერმანულად და ინგლისურად.



„ლატერნა მაგიკამ“ სწრაფად მოიპოვა მასურებელთა სიყვარული და პოპულარობა და, უდავოდ, ხელოვნების ეს სახეობა მალე გაერცვლება მთელს მსოფლიოში.

ამგვარად, 9 მაისიდან პრალაში გამოჩნდა კულტურის კიდევ ერთი ახალი მოვლენა. ოქტომბრისათვის „ლატერნა მაგიკა“ ამზადებს ახალ, კიდევ უფრო კარგ პროგრამას.

ლადისლავ ბოჰაჟაჟი, ჩეხოსლოვაკელი ჟურნალისტი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა







ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საოპოპო, გემბანზე ორნი ვართ. მე და ერია — ქერა, ლამაზი გოგონა, მინდა გამოველაპარაკო, მაგრამ მისვლა შეუხერხებელია. „როსსია“ დინჯად მიარღვევს ტალღებს.

— არ ვიცი, ალბათ, მიცნო ერია, ჩამოშლილ დალაღებს ხელი გადაჭრა და მოაჭირის გასწვრივ ნელ-ნელა ჩემსკენ დაიძრა.

— ოო, ერია! — ვითომ ახლა დავინახე, — რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება, კარგი საღამოა, — რაღაც თავისებური გამოთქმით მიპასუხა მან, — ხვალ იალტაში ვიქნებით?

— ვიქნებით.

— კარგი ამინდი იქნება?

არ ვიცი, მაგრამ ჩანს გოგონას სჭერა, რომ მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

— იქნება.

— რა ლამაზები არიან რუსის გოგონები, — ვამბობ ჩემთვის, მაგრამ ცხადია, მის გასაგონად. სიცილი შეწყვიტა და უცებ:

— მე გერმანელი ვარ!

— გერმანელი? — შეკრთი გაკვირვებისაგან, — ისე შესანიშნავად ფლობს რუსულს, რომ...

— მიყვარს რუსული ენა.

ერია! ყველაფერი აირია. ახალ ნაკერს ღამებს რომ დააძრობენ და არღვევენ, ისე უცბად დაირღვა ჩვენი „ძველი“ ნაცნობობის შინაარსიც. იგი უცხოელია — გერმანელი, მე ქართველი, იგი — სტუმარია, მე — მასპინძელი. რა ვქნა, როგორ მოვაბო თავი ამ ახალ ამბავს, რით გამოვხატო მისდამი ჩემი გულგებობა? ვაფი იყოს, რა მიჭირს, ადვილია გამასპინძლება. ტიტინებს, ენაზე წყალი არ აშრება. აუ, რამდენი რამის მოყოლა მოასწრო; თურმე დასავლეთ სექტორში ცხოვრობს, სტუდენტია, ექიმი გახდება, ისიც კი არ დამიშალა, რომ საქმრო ჰყავს. ვამჩნევ — ამას ჩემს გასაღიზიანებლად არ ამბობს, როგორც სჩვევიათ ხოლმე ახალგაზნობილ გოგონებს, ბავშვობიდანვე ჰყვარებია თურმე ის ვაფი. „ვინ არის, სად ცხოვრობს, რას აკეთებს?“ დავინტერესდი მისი ბედით. გოგონას სახე ეღრუბლებდა.

— ჩვენ სხვადასხვა ზონაში მოგხვდით.

ახლა მე ჩემსას მოვეყვი. ვუთხარი გულწრფელად, რამ ამომაგლო გემბანზე, რაზე ვოცნებობდი, ვუთხარი, რატომ მიხარია სიცოცხლე, რომ იხიენერი ვარ, როგორ ავაშენებ სახლებს, სასახლეებს, როგორ მეტყვიან მადლობას. მას თვალები უღელავდა, მელმიღებოდა, ხელზე ხელის შეხებით ერთხელ თავისი განუყოფელი სითბოც კი მაგრძნობინა — ალბათ, მას უყვარს იხიენერები. ვყვები ყველაფერს გულმართლად და რატომღაც მჭერა, რომ დიდად ვასაჩუქრებ ჩემის გულწრფელობით.

— მოგეწონათ საქართველო? — ვკითხები.

— ოჰ, ოჰ, ძალიან, — თვალბრწყინდება.

— ხალხი?

— კარგია, ლამაზი, თავიანთი მწესავით თბილი. უსიტყვოდ გაუღიმეთ ერთმანეთს. მინდა, რომ მას ყველაფერი მოსწონდეს აქაური: ხეც, ბუჩქიც, ქუჩაც, ზღვაც, ადამიანიც.

გოგონა ნეტარებაშია, როცა იგონებს ნანახს, გაგონილს, ყველაფერი მოსწონს და მერე უცნაურად საღვინო საუბარში, მახსოვს, გამოუჩრია.

— ვახტანგ, არ დაგვიმადვით, ნოვოროსიისკს რომ ჩამოვუარეთ გემით, სანაპიროს დავაკვირდი, სახლები არ მომეწონა, ნაჩქარევი ხელი ატყვი.

რატომ გავფთვრდი? აღარ მახსოვს. გულში გავიფიქრე:

„მადლობა დმერთს, რომ ნატყვიარი აღარ აჩნამეთქი“, და ის იყო ოღონდ გაღიზიანებულმა დავიწყე:

— იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო. რომ... კიდევ კარგია... — უცებ მას ქარმა მხრებიდან თავმანდილი აართვა. პაერსივე დავიჭირე, გაუწილდი, ის სათქმელი ქარს გავატანე.

— ერია, მამ ძალიან მოგეწონა საქართველო? — სხვა კითხვა ვერ მომიძებნია.

— ძალიან, ძალიან.

— მართლა, რაიმე ქართული სიტყვა ხომ არ გისწავლია? — ქალიშვილმა თვალბრწყინებით მომაპყრო, თითქოს ჩემს თვალბრწყინებულ ექვებზე გასახსენებელ სიტყვას. ბარემ მინდა ვუყარნახო, მაგრამ კარნახისათვის არა ერთხელ დავგვიღვარე. არა, აბა ახლა, ვინ გამიწყრება, მაგრამ მაინც არ ვუყარნახებ. თვით მაინტერესებს, იცის თუ არა რაიმე ქართული.

ერიას რას გამოაპარებ, თითქოს ხვდება ჩემს განწყობილებას, ხელით მანიშნებს, არ გამახსენო, სახე თანდითან უნათდება, ტურჩე თითს იღებს და მარცვალმარცვალ წარმოთქმულ სიტყვას ხელსაც აყოლებს, ფეხის ბაკუნსაც.

— მე... ნა... ცვალი!

— მენაცვალე? აზრი დარჩეს, ყაბუღს ვარ, მაგრამ ეგ სიტყვა კი ასე არ არის, გენაცვალე, — მაინც წამოშტა და ქალიშვილმა მყის დაიჭირა ჩემი კარნახი.

— ჰო, ჰო, ასე არ არის, გამახსენდა... იხ — მენაცვალე, დუ — გენაცვალე! თქვენ, თქვენ არაფერი იცით გერმანულად!

— მე? — უხერხულად მოვიჩიქნე კეფა, მერე კი შევეცადე ხუმრობით მესხნა თავი, — იცით, ერია, მე სხვადასხვა გარემოებათა გამო, სხვადასხვა სკოლაში მიხდებოდა სწავლა და...

ვატყობ დაინტერესა ამ „გარემოებებმა“.

— ჰო, ასე იყო, რა დასაძალია, მასწავლებლებს ხშირად თავს ვაბეზრებდი და სხვადასხვა სკოლაში დამასეირნებდნენ, თითქმის ყოველ წელეწადა სკოლას ვიცვლიდი. რაღაც ბელზე ერთგან გერმანულს ასწავლიდნენ, სხვაგან ინგლისურს, ფრანგულს და მეც იმდენი ენები ვისწავლე, რომ ფერც ერთი ვერ შევისწავლე. ინსტიტუტში მისაღებ უცხო ენის გამოცდას რომ ვაბარებდი, ლექტორმა მკითხა, „რომელი ენა გკითხოთ?“ მე ყოჩაღად მივუგე, რომელიც გნებავთ, არც ერთი არ ვიცი მეთქი.

ქალიშვილმა გულიანად გაიცინა.

— მაინც, მაინც, ნუთუ ერთი სიტყვაც აღარ გახსოვთ გერმანულად? — საყვედურივით მეუბნება გოგონა.

ეჰ, დაღაზეროს ეშმაკმა ჩემი თავი, არაფერი არ მაგონდება, მოიცა, მოიცა.

— ჰენდე ჰოხი — წამოვიძახე მე.

— ჰენდე ჰოხი? — შიშით გაიმეორა გოგონამ და...

გაიქცა. რატომ გაიქცა? მე მოვასწარი თვალი, როგორ გაქრა მისი ვარდისფერი სიფრიფანა სახიდან ღიმილი, როგორ გაიღვეს თვალბრწყინოდა რაღაც უცნაური შიშის სხივებმა.

„რა მოხდა? — გავყინე ერთ ადგილზე, მძივბად დამაყარა ციფმა ოფლმა: რა „ვაწყენინე ერიაკას?“

\*\*\*

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

„ჰენდე ჰოხი რა არის ეს სიტყვა, ან საიდან ვიცი იგი მე?“ არ მასვენებდა ფიქრი. თუ რას ნიშნავდა ეს გერმანული ფრაზა, ჩქარა შევიტყე. ჩვენს ენოში, მეზობლად, უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა ცხოვრობს. პირდაპირ მასაც ვეღარ შევებულე მეკითხა და, წიგნი გამოვართვი. მოვკებნე, ამოვიკითხე: ჰენდე ჰოხი — ხელები მაღლა!

ახლა კი მივხვდი, რა ვაწყენინე პატარა გერმანელ გოგონას. რეტი დამესხა, ცეცხლი მომეღო.

„საიდან მოვიდა ეს სიტყვა, საიდან ვიცი იგი მე“. ახლა ეს უნდა გამომერკვია, მე თვითონ აღმოვჩინდი ბრალდებულებს, დაზარალებულებს, გამომძიებელიც. უწყალოდ, შეუბრალებლად ვთანჯავდი ფიქრით თავს პასუხს მოვითხოვდი.

გავიდა კიდევ ხანი, ხან დროებით მავიწყდებოდა

ეს ამბავი. თუმცა დავიწყება რას მიჭვია, ყოველთვის და ყველგან ვეძებდი პასუხს, იმ მხიარული თვალბრწყინების დასეტყვისათვის პასუხს უნდა მეგონა.

და აი, დღეს, მერცხლის სიმღერით პირგაჩნდილილას როცა არცკი ვეფიქრობდი სხვა რამეზე, ერთმა შემთხვევამ წლების მტვერვ გადაკეთდა ამ საიდუმლოს.

მეზობლის გოგომ, რომელიც უკვე გაგაცნით, დღეს რუსულ-გერმანული სასაუბრო ლექსიკონი შემომიბრუნინა. ეს წიგნი მე თვითონ ვთხოვე მას. წელს მსოფლიო ფეტივალზე, ჩვენს ბიჭებს, ახლავარდა მშენებლებს აგზავნიან, მათ შორის ვიქნები მეც. ცოცხა რამ მინდა შევისწავლო, გერმანულში ვეზადები, იმდენი ხომ მაინც უნდა ვიცოდე, მეგობრებს ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ვუთხრა.

„რა ჰქვიანურად შეუდგენიათ მაინც. აქ, ცხადია, არ არის ყველაფერი ის, რაც უცხო ენის შესწავლას სჭირდება. მაგრამ არის იმდენი, რომ შენი კეთილი გული უცხოელ მეგობართან მიიტანო... ამხანაგო — გენოსე, გუტენ მორგენ — დილამშვიდობისა... მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, გადაეცით ყველას მოკითხვა...“ — ვიჭვირებ პატარა იისფერ წიგნში გამოყვანილ ფრაზებს.

გულუბრყვილო აზრი მომდის; რა იქნება ყველა ენაზე აიკრძალოს ავის გამოშატველი სიტყვები, მაშინ ხალხი სულ ასე ილაპარაკებდა.

უცნაურად უროსავით დამეცა თავში — „ჰენდე ჰოხი!“ ირგვლივ ყველაფერი ატრიალდა. თითქოს იმ წერტილმა, საიდანაც ეს სიტყვა გაიზარდა, რამდენჯერმე დატყვესა და გამოანათა — მივაგენი, გამახსენდა, ყველაფერი გამახსენდა!

...სარტაციო მანქანებს გრილი გააქვთ, აბლაბუდას ფეხებივით ბრუნავენ რკინის თითები და საღებავშეუშრობ გაზეთებს კონა-კონად აწყობენ ღვედებზე. ელაფენ: „პროლეტარებო ყველა ჰქეყნისა, შეერთდით!“ და ჰქეყვით თარიღი:

1941

22 ივნისი

დაფრინავენ ფურცლები, იბეჭდება მასობრივი ტირაუები და ხალხში იჭრება წიგნები. მტერზე შემართული ყუმბარები მოდიან, მოდიან, მრავლდებიან — ახლა სალაღობოს ბეჭდვის დრო არაა, მაგრამ საღვინო გინდათ, რომელ მაღაზიაშიც გნებავთ შეხედებით: „ტყვეს დასაჭერ სამახსოვროს“, „პარტიზანის სამახსოვროს“, ომია. აი, ამ წიგნის პირველი სტრიქონებიც: ჰენდე ჰოხი, ჰენდე ჰოხი ჰენდე ჰოხი ჩამქმის ყურში. მე მაშინ ვისწავლე ეს სიტყვა იქ, ქერჩში, სტალინგრადში, მოსკოვში, ლენინის ქალაქში ჩემი უფროსი ძმა და მამა იბრძოდნენ. მე კი ვთამაშობდი ომობანას ენოს ბიჭებთან, მე ყოველთვის წითლების მხარეზე ვიყავი. იმათ კი, ვისაც ღონით ვჩაგრავდი, ფაშისტებს ვეძახდი და თავს ვესხმოდი — „ჰენდე ჰოხი, ჰენდე ჰოხი, ჰენდე ჰოხი!“

\*\*\*

ჩემო პატარა ფროლიანი, მამაკტი, რომ უნებურად გული გატყინე: ასე იყო, ცხოვრებამ მოიტანა ეს სიტყვა და დამასწავლა. მაგრამ მიხვდი: შენი წყენა რომ მღებოდა გულში, მაშინვე იმ გემბანზე გავცემდი პასუხს, როცა ნოვოროსიისკის სანაპიროს ახალმშენები დამიწუნე. შენ თქვი: სახლებს ნაჩქარევი ხელი ატყვი. ეს ადგილები სწორედ ომმა გაასწორა მიწასთან, ხალხს კი თავშესაფარი უნდოდა, ამიტომ ვიჭქარეთ.

... მე არ ვიცი რომელ ქალაქში ცხოვრობ, ან რომელ ქუჩაზე, მაგრამ ვიცი, რომ ნაწყენი ხარ ჩემზე.

იქნებ, ამ ბართმა მოკებნოს და დაგამშვიდოს, მე და შენ რა შუაში ვართ?



ვანეთში დღემდე შემორჩენილია ერთი სასაპარეზო დღე „ჭულიში“ (სვანურად „ჭელიშ“); რომელიც დაკავშირებულია ე. წ. თავთავიანი ყანების დაღვებასთან. მოსახლეობა ძველთაგანვე ზეიმით იხდიდა ამ შესანიშნავ დღეობას ზაფხულის დამდევს, როცა ჭირახულის დათავთავება მიმდინარეობდა, ყანების დაღვებაც ამ დროს იყო მოსალოდნელი. ზანგრაძის უწყვილობით ყანები ღამამობით ცრუ გაღვებებით უნამოდ დაიხუთებოდნენ, რაც თავთავის მარცვლით გავესებას აბრკოლებდა და, მასასადავ, მოსავალიც საშინლად ზიანდებოდა. ადგილობრივად დამკვიდრებული რწმენით ჭულიშის, ანუ „უღვისის“ რიტუალის ზეიმით შესრულებას თითქოს შეეძლო ეხსნა მოსახლეობა ამ უბედურებისაგან.

ჭულიშობა სვანეთის ხევ-სოფლებში ყველგან იმართებოდა, მესტიის ხევი კი ერთობლივი სვანეთის სახელით, დღემდეც ცალკე ზეიმით იხდიდა, რასაც სხვა ხევიებიდან მრავლად ესწრებოდნენ და მესტია კი ყველა მოსულს დიდი პატივით უხვდებოდა. სახალხო ზეიმს ვერ აბრკოლებდა ვერც შიმშილი და ვერც სხვა უბედურება. ზეიმი არც გადაიტანებოდა რომელიმე სხვა ხევი და ტრადიციულად მხოლოდ მესტიას ევალებოდა.

ჭულიშის საზეიმო დღესასწაული იმით განსხვავდებოდა სხვა დღესასწაულებისგან, რომ ამ დღეებში ხევეს გამოჰქონდა დროშა „ლუმ“ და ასაპარეზობაც სამ დღეს იმართებოდა. ადგილობრივი მოხუცების გადმოცემით, უძველეს დროს „ლომი დროშა“ ხელით უნდა ეტარებინათ საკმაოდ დიდ მანძილზე, რაც ერთი კაცისთვის მიუღწეველი იყო, რადგან მთელი მანძილი უნდა ერბინა, რომ სირბილში ჰაერით გაბერილი ლომი ადგილზე მიეჭრებოდა. ამიტომ ხევი მანძილს ანაწილებდა და ადგილებზე მალე მსრბობლებს აყენებდა. დამწყება, ესტაფეტის წესით, უნდა მიეზრინა მეორემ და გაბერილი ალაში უნდა გადაეცა, მეორე მესამესთან მიარბენინებდა და ის მესამეც იმავე გაბერილ მდგომარეობაში გადასცემდა მის მომლოდინეს, რომელიც ისევ სირბილით მიიტანდა ბოლო ასაპარეზამდე.

მოსახლეობისათვის მეტად ძნელი იყო ამგვარი ასაპარეზობა, მაგრამ რა გინდ ძნელიც უნდა ყოფილიყო, მაინც უნდა შეესრულებინათ ტრადიციული წესი... ხევი დიდხანს ემძებდა ამ მდგომარეობიდან გამოსავალს. ბოლოს ერთ ჭულიშობაზე ბეჩოს მთავარ თათარ დაღვებულთან ცხენი მოპარეს და ამ ცხენზე შემჯდარმა მალე მსრბობმა ლომის გაბერვაც ადვილად შეასრულა. ზეიმის დამთავრების შემდეგ ცხენი ისევ მთაზე გაუშვეს და მისმა დამბრუნებელმა, დატყვევების შიშით, ღამით ცხენის პატრონს მთავარს დაუძახა კარიდან მბრძანებელი თათარ, შენი ჭირი შემყოფდეს, ლომის სირბილით გაბერვა გაგვიჭირდა, შენი ცხენი დაუეთხავად წავიყვანეთ და წესი ადვილად შევასრულეთ, ახლა კი ხევა დაგლოცა და ცხენიც უკან დაგიბრუნეთო. რთარი კმაყოფილი დარჩა ხალხის დალოცვით და ცხენის მომყვანს უთხრა სახლიდან: რადგან ხევა დამლოცა, ცხენი ხევისთვის მიჩუქნია, წაიყვანე უკან და შემდეგშიც მედროშედ გაყავდეთო.

მესტიის მოსახლეობაში ნაირ-ნაირი მოსაზრება სვანური დროშა-ლომის შესახებ. ზოგს მიაჩნია, რომ სვანებმა სპარსელები დაამარცხეს და დროშაც იმდროინდელი ნადავლიაო, ზოგი თამარ დედოფლის დატოვებულად თვლის და ა. შ. ისტორიულად ახლანდელ დროშას მეოთხედ თვლიან და ყველა ამ დროშის შეკერვას ჯაფარიძეების გვარის დედაკაცებს აწერენ, უკანესკენი კი ივლით და ალათი ჯაფარიძეებმა შეკერეს დამკვიდრებული დროშის თარგით.

ლომის გამოსახულება უძრავ მდგომარეობაში უფრომ მასად ჰქონდა ხალაზე. მოძრაობის დროს კი ჰაერით ივსება ღია ხაზიდან, გაიბერება და ცხოველს დაემსგავსება. მკვლევარი ტრევერი სვანურ ლომს ურჩხულის სახოვანი ალმების ტიპს აკუთვნებს, რომელიც დამოწმებულია მეორე საუკუნეში პართიელებთან, სკვითებთან, სარმატებთან და სხვებთან, მათგან კი III საუკუნიდან გადმოღებულია რომაელების მიერ და IV საუკუნეში სასანიდთა დინასტიის მეფეების მიერ იმავე პართიელებისგანაა წარსესხებული. მკვლევარის დამოწმებით, მსგავსი ალმები არსებობდნენ ბიზანტიაში და შუასაუკუნეების შუალედში კი — დასავლეთ ევროპაში. მეოთხე საუკუნეში დათარიღებული ქართული ისტორიული დოკუმენტებით დროშა-ლომი ითვლებოდა „ბედნიერი სვანეთის ერთობილი ხეობის“ უხუცესის გამგებლობაში, რომელიც იყო მედროშე „მელომის“ სახელწოდებით. მელომის თანამდებობა არჩევითი იყო, თუმცა ყოველთვის განსაზღვრული გვარიდან ირჩეოდა, და არჩეული ამის შედეგად შეიღებოდა მთელ ერთობილზე, უშუალოდ ლაღვერამდე. მელომეს ხევი მფარველობდა და ყოველგვარი გადასახადისაგან თავისუფალი იყო. თვითონ ის მედროშე კი საქირიებისდაგვარად იწვევდა მხედრობას

„ერთობილი ხეობის ბედნიერი სვანეთისას“ და თვითონვე წინამძღვრობდა სამხედრო ლაშქრობის დროს.

ჭულიშობის სადღესასწაულო ზეიმი, ცხენის გამოყენების შემდეგ, უფრო და უფრო მოწესრიგდა წინადროინდელთან შედარებით. ცხენების დოღში თხუთმეტი ცხენოსანი ლეზულობდა მონაწილეობას. ჩვეულებრივად ცხენოსნები, რიგის მიხედვით, დაღვებოდნენ ტაძრის კარებთან, მკვლევარს, დროშა ტაძრიდან გამოჰქონდა და გადასცემდა მეთაურ ჯაფარიძეს, რომელმაც გვარის უპირატესობით დაიმკვიდრა მედროშეობა. ჯაფარიძე თავისი თანამეგობრის დამარებით დროშის ხალას უზანგთან მიიმარჯვებდა, მარჯვენა ხელით დაიჭერდა და მარცხენაში სადავე ეპყრა. ცხენოსნები ნელა დაძრებოდნენ ადგილიდან, მედროშეს თანამეგობრე გვერდში უდგა, რომ დროშა არ დაეარდნოდა. ამგვარად დიდი მედროშის წინამძღოლობით ნელა მიდიოდა სადღესასწაულო მიწნული ადგილის საზღვართან, იქიდანაც ნელი სვლით წავიდოდა აღმოსავლეთის საზღვართან და შემდეგ ისევ დასავლეთის საზღვართან დაბრუნდებოდა. ეს კი მეორე ტური იყო. მეორეჯერ მისვლისას, ცხენოსნები საზღვართან ხახად დაეწყობოდნენ და სასიგნალო შეძახილზე ჭენებით გავარდებოდნენ. საბოლოოდ ის გაიმარჯვებდა, ვინც ცხენს პირველად მიარბენინებდა აღმოსავლეთის საზღვართან და, თუკი თვითონ მედროშე გაიმარჯვებდა, მოსახლეობის რწმენით, სვანები იმ წელს ყველა საქმეში გაიმარჯვებდნენ და უხვმოსავლიანი წელიც იქნებოდა.

სვანეთში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით „ლომი“ დროშა, იმავე დროს, მგლის ემბლემაცაა აღიარებული. მგლის ტრეტეში კი, მეცნიერთა აზრით, ლომთან შედარებით, უპირატესობის მქონეა. როგორც ცნობილია, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მგლის თავის გამოხატულებით დამშვენებული იყო ქართლის მეფის ვახტანგ I მუხრანის, რომელსაც, მემატინათა თქმულებით, ამ გამოხატულების გამო სპარსელებმა გორგასარი ანუ მგლის თავიანი შეარქვეს.

თვითონ ძველი სვანური მოსაზრებით მეგლი დიდი ღმერთის, ანუ მამა-ღმერთის ნებაზე გაშვებული ძალა და ცეცხლის მფრქვევი იარაღი არ დაემიზნება თითქოს „ღვთაბერივი“ ძალის მქონე ნადირი, თოფს თუ თვალს შეასწრებდა. კეტავდა მას და, მეტადრე სვანური კაჟიანი თოფი, ფალიაზე წამლის ასაფეთქებლად ნაპერწკლებს ვერ დააკვსავდა. მგლის სხვა ზებუნებრივი ძალით დამინებულები მეტსაც ამბობდნენ: ნადირს სისხლის ადების თვისებასაც ანიჭებდნენ, მოკლულს სხვა მგლები ისისხებდნენ და მკვლელს საქონელს ამოუწყვეტავნენ. ამით დამფრთხალი მოსახლეობა ერთადერთ საშუალებად იმას თვლიდა, რომ თუ ვისმეს ნადირი ძალაუნებურად შემოაკვდებოდა, მკვიდრი ძმასავით უნდა დაეტერა და მოკლულისთვის უნდა ეთქვა, როგორც მკვიდრი ძმის მოკვლა არ მინდოდა, ისე არც შენი მოკვლა მინდოდა, შემცდა და მამატიეო. ამის შემდეგ გატყავებული მოკრძალებული პატივით უნდა დაემარხა. შიშის გასაფრთხავად ესეც არ კმაროდა. მეგელი ჯიხვე დაიკვებულ მგლის ტყავს სოფელში ჩამოატარებდა სხვების თანხლებით და ოჯახები თითო გასროლა ტყვია-წამალს აძლევდნენ, თითქოს იმ რწმენით, რომ ნადირის სისხლის ამღებ მგლებს გზაკვალი აებნეოდათ, მკვლელის საქონელს სხვებისგან ვერ გამოარჩევდნენ და ამით დანაშაულის კვალიც მოიშლებოდა.

ბეჩოს ხევის ერთ ნაწილში, მეზობის კულტის შესრულებისას, ორ კვირას მამაკაცობა თოფს პირადმა ვერ დაიკვდებდა და მეგლი, ეზოშიც რომ შეჭრილიყო, თოფს ვერაფერ ვერ ესროდა; ყველიერის დამდევისათვის უკანასკნელ კვირასამოს, მგალითად — ლახამულში, ოჯახებიდან მოჰქონდათ სახლის სახურავებზე ნარჩენი ძეგლები და ხამალალი ძახილით მეგლს მოუწოდებდნენ: აპა შენი ულუფა და ჩვეს საქონელს პირი არსად მიაკარო.

თუ ძველი სვანი ამ „დიდი ღმერთის მიერ ნებაზე გაშვებულ ძალს“ შიშით თოფს ვერ ესროდა და ზოგჯერ შელოცვებსა და ერთგვარად გულის მოგებასაც მიმართავდა, მეორე მხრით მას ნებადართულად მიაჩნდა ნადირს ყოველგვარი სისხლის ადების გარეშე შებრძოლებოდა ცივი იარაღით და ეხოცა რამდენსაც შესძლებდა. ამ შემთხვევაში მგლის კულტი, როგორც ასეთი, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავდა. სვანი არავითარ შიშს არ გრძნობდა და, სადაც მოუსწრებდა ნადირს, პირიქით, შეებრძოლებოდა. ოღონდ კულტის ძირითადი მნიშვნელობა თავისთავად ისევ ძალაში დარჩა ბოლო დრომდე და ხევაზე უცვლელად ასრულებდნენ მას.

სვანური დროშა ლომისა თუ მგლის ემბლემა, სვანეთის ერთ-ერთი უძველესი მეგლთაგანია საქართველოს სიძველეთა საგანძურში და ამდენად ყურადღებას იქცევს მის გარეშე გავრცელებულ ყველა თქმულებასთან ერთად.

ალექსი ლავიტინი.

სვანური დროშა „ლომი“

# მეზაქანი



## ბლანსო იბნისი

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ქობის კარებთან ვილცამ დაიყვირა:

— ანტონიო, ანტონიო!

ანტონიომ ხმაზე იცნო მეზობელი და ლოგინიდან სწრაფად წამოხტა.

არ სძინებია. თერთმეტ საათამდე შეშფოთებული წრიალებდა საწოლში და თავის ცოლს რუფინას შინაურ საქმეებზე ეჩურჩულებოდა.

ეს ზაფხული მათთვის მეტად მძიმე გამოდგა. გასულ წელს ღლივები უსასრულო ნაკადად მოედინებოდნენ ხმელთაშუა ზღვაში და დღე არ იყო, ათ კილომდე არ დაეჭირათ. ოჯახში დვთის წყალბაზავით შემოდიოდა ფული, და შარშან ანტონიომ მუყაითი შრომით საკუთარი იალქნიანი ნავი შეიძინა.

პატარა ნავსადგური მთვარის შუქზე აფრიანი ნავების ნამდვილ ქარავანს მოგაგონებდათ. კერძო ნავების რიცხვის გადიდება თვეში შეამცირა. ბადებებს მხოლოდ წვრილი ლიფსიტები მოჰყვებოდა, შეწვის შემდეგ ტაფაზე აღარაფერი რჩებოდა. წელს ღლივები სულ სხვა მიმართულებით წავიდნენ და არავის შეეძლო დაეტრახებინა, ღლივი დაეჭირეთ. ანტონიომ თავისი ერთადერთი თორმეტი წლის ვაჟიშვილი გააღვიძა, რომელიც ყოველთვის თან დაყავდა სათევზაოდ. პატარა ანტონიო დიდი კაცის სამუშაოს ასრულებდა ხოლმე.

— იქნებ, დღეს მანც გაგიღივოთ ბედმა. გუშინ მალაზიაში აღარაფერი მომცეს ნისიად. ღმერთო, ეს რა ძალღური ხელობაა! — თქვა რუფინამ.

— გაჩუმდი, ქალო ზღვა მძინვარია, ღმერთი კი — მოწყალე. სწორედ გუშინ ქარავანს ჩამორჩენილი ღლივი დაუნახავთ, ოცდაათ კილოზე მეტი იქნებოდაო, წარმოიდგინე, ჩვენ რომ ის დაეჭიროთ...

ანტონიო ბაღეს კეცავდა და ოცნებაში ქარავანს ჩამორჩენილი ღლივი ელანდებოდა. ანტონიო ოთახის შუაგულში იდგა, სერიოზული და ამაყი გრძნობით გამსკვალული, — თვითონ შოულობდა პურის ფულს, როცა მისი ტილები ჯერ კიდევ თამაშობით ერთობოდნენ.

მამა და შვილი სახლიდან გამოვიდნენ და პირდაპირ ნავსადგურისაკენ გაემართნენ, სადაც მათ მეზობელი უცდიდა. ისმოდა მეზღვაურთა საქმიანი ხმაური, მეთევზეთა ქარავანი ზღვაში გასასვლელად ემზადებოდა. ჰაერში მოფრიალე აფრები უზარმაზარ თეთრ ზეწრებს მოგვადნენ. ზღვას მკერდზე თეთრი სახლები გადმოეხატა, რომლებშიაც მდიდრები ცხოვრობდნენ.

„ისინი ბანქოს თამაშობენ, გათენებისას ლუკმა პურის საშოვნელად არ დგებიან“, გაფიქრა ზივლით ანტონიომ.

— ჩქარა, ჩქარა! ხედავთ რამდენი ხალხი მოგროვდა, — დაიძახა მეზობელმა. ანტონიომ იალქნები აუშვა, ნავი ტალღებზე ათამაშდა და ღია ზღვაში შეცურდა. წინ მრუშე ღამე გადაჭიმულიყო, ციმციმა ვარსკვლავები ოდნავ ანათებდნენ, ირგვლივ კი, შავ ტალღებზე, უამრავი ნავი მოჩვენებასავით მიცოცავდა. მეზობელმა პორიონტს გახედა.

— ანტონიო, ამინდი იცვლება!

— ვხედავ.

— მგონი, ქარიშხალს აპირებს.

— არა უშავს.

იმის მაგივრად, რომ სხვა ნავების მსგავსად ნაპირისაკენ მოტრიალებულიყვნენ, ისინი წინსვლას განაგრძობდნენ.

გათენდა. შუაზე გაკვეთილ მზის ოქროსფერ სხივებისაგან ზღვას ხანძარი წაჭიდებოდა, თითქოს წყალიც დუღდა. ანტონიო საქესთან იჭდა. მეზობელ ანძასთან, კიჩოზე ჩამომჯდარი ბავშვი კი წყალს დაკვირვებით გასცქეროდა. გავიდა რამდენიმე საათი. ნავი შეუჩერებლივ მიცურავდა.

დილის ათ საათზე ნაპირი თვალს მიეფარა, უკან გაბრუნებული ნავების იალქნები მოცურავე ფანტასტიკურ თეთრ თევზებს მოჰგვადნენ.

— მოდი, წავიხეხოსო, მომეცი კალათა, შეიძლება თევზებსაც მოშვიდეთ, — წარმოთქვა მზიარულად მეზობელმა.

ქარი თანდათან გამძაფრდა და ნავს უზარმაზარ ტალღებისკენ ისროდა. უეცრად ანტონიოს ყვირილი გაისმა:

— მამა, თევზი უზარმაზარი ღლივი!

მამაკაცებმა ქაშას თავი მიანებეს და ვეებერთელა ღლივი შეამჩნიეს, რომლის შავი, ხვერდისფერი ზურგი წყლის ზედაპირზე მიცურავდა. ალბათ, ეს ის „მარტოხელაა“, რომლის შესახებ მეთევზეები ლაპარაკობდნენ. თევზი სწრაფად იქნედა უზარმაზარ კულს და ნავის ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს გამოჩნდებოდა.

მღელვარებისაგან გაწითლებულმა ანტონიომ ზღვაში თითის სიმსხო ანკესი გადააგდო. უეცრად წყალი აიშლრა, თითქოს რაღაც ძლიერი ძალა ჩაებლაუჭა ნავის ქიშს და მისი გადატრიალება მოინდომა. ნავი ძლიერად შეიერყა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ ათამაშდა ზღვის ტალღებზე. თევზს ანკესი გადაეუღა და თოკი გაეწვიტა.

— ანტონიო, ეს ურჩხული ჩვენზე ძლიერია, წავიდეს. ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ანკესი გაწყდა, თორემ ფსკერისკენ გაგვაქანებდა, — მწუხარებით წარმოთქვა მეზობელმა.

— ხელიდან გავუშვათ ასეთი ღლივი? მერედა იცი რა ღირს?! ახლა შიშისა და ყოყმანის დრო აღარ არის! უნდა დაეჭიროთ, — წამოიყვირა ანტონიომ და ნავი იქითკენ შემოატრიალა, სადაც უზარმაზარი ურჩხული ეგულდებოდა. ანტონიომ სწრაფად ჩაუშვა წყალში უფრო მოზრდილი ანკესი, მარცხენა ხელში ბასრი ბარჯი მოიმარჯვა, მარჯვენათი საქეს მართავდა. ნავი შეიერყა, ამჯერად, უფრო ძლიერად. ეტყობა, ღლივი მაგრად დაება ანკესზე და ზღვის ტალღებზე დამთხვეულივით მოქანავე ნავის ჩაძირვას ცდილობდა. წყალი დუღდა და ზედაპირზე ამღვრეულ ბუშტებს და ქაფს ისროდა, გეგონებოდათ, ზღვის სიღრმეში სამკვდრო - სასიცოცხლოდ შეჭახებულიყვნენ გიგანტები. ნავი ძლიერი ბიძკისაგან გვერდზე გადაწვა, მეთევზეები წაქცია და წყლით გაივსო. იმავ წუთს ქაშანი გაისმა, ნავი გასწორდა. ღლივმა ანკესი კვლავ გას-

წყვეტა — და კუდით ნაფხურგვლივ შადრენის მსგავსი მხეფები ამოფრქვია:

— ავაჯაკო ახლა კი მიფრთხილდი — გაფრთხილდი ანტონიომ, თითქოსდა მის წინ მოსხიხლვ მტერი იყო. მთელი სიმძლავრით ბარჯი აძგერა თევზს. რკინა თავში ჩახსო ონავარს, წყალი წითლად შეიღებდა და დაჭრილი ღლივი ზღვაში ქვასავით ჩაეშვა. ანტონიომ შვებით ამოისუნთქა, რაღაც განგებამ გადაარჩინათ. რამდენიმე წუთს გრძელდებოდა ეს ორთა ბრძოლა, კიდეც ცოტა და, ისინი ზღვის ფსკერზე აღმოჩნდებოდნენ. ანტონიომ სველ გემბანს გადახედა. გაფრთხილებული მეზობელი ხმაგაკმენდილი იქდა და ანძას ჩაჭიდებოდა.

— მე გადარჩენის იმედი აღარ მქონდა... წყუელი ნადირი კარგად აძგერე ბარჯი. აი, ნახვ, სულ მალე ზედპირზე ამოტივტივდება...

— ბავშვი სადღა? — გაისმა ანტონიოს შემფოთებულ ხმა, თითქოს პასუხის ეშინიაო.

მეზობელმა ხელები უხერხულად გაასავსავა.

შორს, იმ ადგილას, სადაც ნავი კინაღამ ჩაიძირა, რაღაც შავი საგანი მოსჩანდა.

— ისაა — დაიყვირა ანტონიომ, წყალში გადახტა და სწრაფი მოძრაობით გასცურა. როდესაც უბედური მამა დარწმუნდა, რომ შავი საგანი მხოლოდ და მხოლოდ ნიჩბის ნატეხი იყო, ძალამ უმტყუნა, ზღვაში ჩაიძირა. შემდეგ ღონე მოეკრიფა, ამოტივტივდა და შემოიღობით აქეთ-იქით დაიწყო ყურება, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ წყალი და მისკენ მომავალი ნავი მოჩანდა.

უეტრად ზღვამ ფსკერიდან გასისხლიანებული, შავი მასა ამოისროლა. ეს მკვდარი ღლივი იყო, ანტონიოს ძვირად დაუჭრა მისი მოკვლა. ერთადერთი შვილის სიცოცხლე შესწირა ამ თევზს.

— ღმერთო დიდებულო, განა ლუკმა პური ასე ძვირი ღირს? — წამოიკენესა გამწარებულმა მამამ.

საათზე მეტი გავიდა, ნავი უგზო-უკვლოდ მიცურავდა. ანტონიოს ეჩვენებოდა, რომ აი, ახლა, ამ წუთს შვილის სხეული გამოჩნდებოდა. მან სამუდამოდ ზღვაში დარჩენა გადასწყვიტა, მაგრამ მეზობელმა დაუყვავა:

— ასეთია ჩვენი ცხოვრება, თავს რად იკლავ, მეგობარო, ბავშვი სწორედ იქ დაიხრჩო, სადაც ჩვენი მამები და ბაბუები დაიღუპნენ. ერთ შესანიშნავ დღეს ჩვენც მათ მივყვებით. ადრე, თუ გვიან, განა ეს სულერთი არ არის? ნუ დაგავიწყდება, რომ ლატაკი მეთევზეები ვართ.

ქარს ქროდა. მამაკაცებმა თითქმის დაივიწყეს საშინელი უბედურება და ნავიდან წყლის ამოსხმა დაიწყეს, ნავმა სიჩქარეს უმატა და მალე ნაპირიც გამოჩნდა. მიწის დანახვაც ანტონიოს სულში ახალი ძალით ამოძრავდა ტკივილი და შიში. „რას იტყვის რუფინა?“ ბუტბუტებდა იგი.

ქარს ვალსის მხიარული მელოდიის ხმა მოჰქონდა. ნავსადგურში მუსიკა უკრავდა. იქ მეთევზეებს მოეყარათ თავი, მათ გაარჩიეს, თუ როგორ ნადავლს მოათრევდა ნავი. ანტონიო ხალხს ვერ ამჩნევდა, მისი მუერა მიპყრობილი იყო ნაპირზე მდგომ მალა გამხდარ, მზგვრემან ქალისაკენ,

რომელსაც ქარი თმას უწიწავდა, კაბას უფრიალებდა, მაგრამ იგი ქანდაკებასავით გაუნძრევლად იდგა.

ნავი ნავსადგურს მიადგა. მათ ოვაციებით შეხვდნენ. ყველას სურდა ახლოს შეეხედა ამ საშინელ ონავარისათვის. მეთევზეები თავიანთი ნავებიდან შურის თვალთ უცქეროდნენ ანტონიოს ნადავლს. მზეზე გარუჯული ბავშვები ტუპა-ტუპით ცვივოდნენ წყალში, რომ თევზის უზარმაზარ კულს ხელით შეხებოდნენ.

რუფინამ ხალხის წრე გარღვია და ქმართან მივიდა. ანტონიო მიწას ჩასჩერებოდა და მეგობრების მილოცვებს უაზრო გამოხედვით პასუხობდა.

— ბავშვი? ბავშვი სადაა?

უბედურმა კაცმა თავი კიდე უფრო დახარა და მხრებს შუა ჩამალა, თითქოს სურდა მიწაში ჩამძვრალიყო, რომ არაფერი გაეგონა და არაფერი დაენახა.

— შენ გეკითხები, სად არის ანტონიო?

რუფინა ანთებული თვალებით ქმარს ჩააშტერდა. შემდეგ საყულოში ხელი ჩავლო და მთელი ძალით შეანჯღრია. მაგრამ სწრაფადვე უკან დაიხია, ხელები მალა დაპყრო და საშინელი კენესა აღმოსდა:

— ღმერთო ჩემო დაიხრჩო ჩემი ანტონიო! მოკვდა!

— ჰო, — ძლივს ამოიღულულა უბედურმა ანტონიომ, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა. — ბავშვი დაიხრჩო, ისევე როგორც მისი პაპა და პაპის პაპა, მეც ხომ იგივე ბედი მე-

ღის. ზღვა ჩვენ გვეკვებავს და თვითონაც ჩვენი იკვებება. რას იზამ, განა ვინც იბადება ყველანი ეპისკოპოსები ხდებიან?

ქალს არაფერი არ ესმოდა, მიწაზე ეგდო, იკრუნჩხებოდა და ხელებით სახეს იფხპნიდა.

— შვილო, ჩემო ანტონიო! მეზობლები, მეთევზეთა ცოლები, რუფინას მისცვივდნენ, თითქმის ყველა მათგანს მსგავსი უბედურება გადახდებოდა. მათ საცოდავი ქალი ხელში აიყვანეს და შინისკენ გაეშურნენ.

ატარებულ ანტონიოს, რომელიც მეთევზემ ერთი ჭიკა ღვინო მიაწოდა. ცხოვრების ეგოზმით შეპყრობილი მეზობელი კი, ფიცხლად ვაჭრობდა იმ ნადავლით, რომელმაც პატარა ანტონიო შეიწირა.

ბინდებოდა. ზღვის წყალი ნაპირზე ვერცხლისფრად იღვრებოდა. შორიდან კვლავ მოისმოდა უბედური დედის განწირული კივილი:

— ანტონიო, ჩემო შვილო...

თითქოს არაფერი მომხდარაო, საუცხოოდ გამოწყობილი ბედნიერი ხალხი პალმებს შორის დასეირნობდა. მათ იქვე მომხდარ უბედურებას ყურადღებაც არ მიაქციეს და არც ისურვეს სიღარიბის მიზეზით გამოწვეული ტრაგედია ენახათ. ნაპირზე კი მხიარული ვალსის მგზნებარე ჰანგები გაისმოდა, რომელიც თითქოს ზღვის მარადიულ მშვენიერებას ეაღერებოდა. თარგმანი გორის მირცხულაპასი.

## ბ რ ნ ყ ი ნ ვ ა ლ ე მ ა რ მ ხ ი

(800 წელი ტასმანის დალუპვიდან)

XVII საუკუნე გეოგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებით გამოირჩევა დიდი მოგზაურობებითა და ახალი აღმოჩენებით. ეს ის პერიოდია, როდესაც უკვე აღმოჩენილია ამერიკის კონტინენტი, დადგენილია აფრიკის კონტინენტის კონტურები და ახლად აღმოჩენილია „ტერა ინკოგნიტა აუსტრალის“ — ან უცნობი სამხრეთი მიწა — ასე ეწოდებოდა მეხუთე კონტინენტს, ავსტრალიას.

ძველთაგანვე მეცნიერებაში გავრცელებული იყო ასეთი მოსაზრება: ჩრდილო ნახევარსფეროში მდებარეობს ევროპისა და აზიის კონტინენტები, აფრიკის დიდი ნაწილი და ჩრდილო ამერიკა, მაშინ როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში დიდად სჭარბობს წყლის ფართობი, ხმელეთი კი მხოლოდ სამხრეთ ამერიკით, ავსტრალიითა და აფრიკის სამხრეთ ნაწილითაა წარმოდგენილი. მეცნიერები ფიქრობდნენ რომ დედამიწის სფეროს წონასწორობისათვის სამხრეთ ნახევარსფეროში კიდე უნდა არსებობდეს ხმელეთის მობრდილი ფართობი და აი, სწორედ ამ სამხრეთის მიწების ძებნაში განსაკუთრებულ აქტივობას პოლანდიელები იჩენდნენ. მათ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ დიდი ზონდის კუნძულები — იავა, ბორნეო, სუმატრა, ცელებესი და აქედან აწყობენ თავიანთ საზღვაო ექსპედიციებს ახალი მიწების აღმოსაჩენად. სწორედ კუნძულ იავადან მოაწყო თავისი ექსპედიციები პოლანდიელმა მეზღვაურმა აბელ ტასმანმა.

აბელ ტასმანის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოიპოვება. ცნობილია რომ 1639 წელს ტასმანი მესაქედ იყო პოლანდიელთა იმ ხომალდზე, რომელსაც მატრას კვასტი მეთაურობდა. კვასტს დაველებული ჰქონდა მოეძებნა იაპონიის აღმოსავლეთით მდებარე რომელიღაც ფანტასტიური მიწები. რომლებიც თითქოს ოკეანით და ვერცხლით იყო მდიდარი. ეპიდემიისა და შიმშილის გამო კვასტის ხომალდზე 45 კაციდან ცოცხალი დარჩა შეიდი, რომლებმაც კუნძულ იავაზე აბელ ტასმანის წყალობით მიადღწიეს.

მაგრამ ეს დიად აღმოჩენათა მხოლოდ პრელიუდია იყო. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი დიდი მოგზაურობა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენა, რომელიც სიყვარულის შედეგი ყოფილიყო. გადმოცემის თანახმად რიგითმა მეზღვაურმა აბელ ტასმანმა შეიყვარა ნიდერლანდის ოსტინდოეთის (ამჟამად ინდონეზია) გუბერნატორის ვან-დიმენის ქალიშვილი მარია. რათა

თავიდან მოეცილებინა აბეზარი სასიძო, გუბერნატორმა ტასმანს ნისცა ორი ძველი ხომალდი და შორეულ ექსპედიციაში გაგზავნა. თუ ტასმანი აღმოაჩენდა ახალ მიწებს, მაშინ მას უფლება ექნებოდა ეთხოვა ლამაზი მარი ვან-დიმენის ხელი. გუბერნატორს თავის მხრივ იმედი ჰქონდა, რომ ძველი და დამპალფიცრიანი ხომალდები გზაშივე დაიშლებოდნენ და ამით თავიდან მოიცილებდა ჭიუტ ახალგაზრდას.

აი, 1642 წელს უკვე გამოცდილი ზღვაოსანი და უიმედო შეყვარებული ტასმანი მიემგზავრება ახალი მიწების საძებნელად. ცხრა თვე გაგრძელდა ეს საზიფათო და ძნელი მოგზაურობა. ტასმანის ექსპედიციამ აღმოაჩინა დიდი კუნძული, რომელსაც მან თავისი შეყვარებულის მარი ვან-დიმენის სახელი უწოდა (შემდეგში ამ კუნძულს ტასმანის სახელი უწოდეს). ტასმანმა მოიარა ინდოეთის ოკეანე, მიადღწია მავრიკის კუნძულამდე და დაბრუნდა კუნძულ იავაზე. ტასმანის ეს მოგზაურობა თავისი შედეგებით ერთ-ერთი უდიდესია XVII საუკუნეში, რასაც თან მოჰყვა ახალი მიწების აღმოჩენა.


ტასმანმა შეასრულა გუბერნატორ ვან-დიმენის დავალება და თხოვა ქალიშვილის ხელი. ვან-დიმენმა განუცხადა, რომ ის ახალგაზრდებს დიდ ქორწილს გადაუხდის მხოლოდ... „ურჩია“ თავის აბეზარ სასიძოს ერთხელ კიდე ეცადა ბედი, მოეწყო ექსპედიცია ახალი მიწების აღმოსაჩენად და ამის შემდეგ აუცილებლად შესძლებდა ქალიშვილის თხოვას.

1644 წელს უზომოდ შეყვარებული ტასმანი გაუდგა გზას, მაგრამ ეს იყო საბედისწერო გზა. მას შემდეგ ტასმანი იავაზე აღარ დაბრუნებულა. უკანასკნელი ცნობა მის შესახებ მიეკუთვნება 1659 წლის ოქტომბერს, როდესაც ის თავისი ძველი ხომალდით ზღვაში გავიდა და მას შემდეგ აბელ ტასმანის შესახებ არაფერია ცნობილი. დიდი მოგზაური და ახალი მიწების აღმოჩენი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

აბელ ტასმანმა პირად ცხოვრებაში დიდი მარცხი განიცადა, მან ვერ მიიღო მარი ვან-დიმენის ხელი, სამაგიეროდ მისი გმირული მოგზაურობის შედეგად აღმოჩენილი იქნა ახალი მიწები, მათ შორის თანამედროვე კუნძული ტასმანია. **პრ. ზარდალინივილი.**

## ლაპარაკობენ:

## ჯიონუი კოვსკონიკოვი



— მოულოდნელი ჩემთვის არაფერია იმაში, რომ თბილისელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო ლენინგრადის გორაკის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლები. — გვითხრა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრკ სახალხო არტისტმა გ. ტოვსტონოგოვმა. — მე თბილისში დავიბადე, აქვე ავიდგი ფეხი, როგორც რეჟისორმა, და კარგად ვიცი თბილისელების სიყვარული თეატრისადმი. მიუხედავად ამისა, გასტროლებმა მე მაინც უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ამ ზაფხულს თბილისში გატარებული დღეები საუკეთესო მოგონებად დარჩებიან ჩემს მესიერებაში. ჩვენ, თეატრის მთელი კოლექტივი, გულდასმით ავწონ-დავწონით და მომავალ საქმიანობაში გა-

ვითვალისწინებთ ამ მეგობრულ შენიშვნებსაც, რომლებიც ჩვენი სპექტაკლების მისამართით. გამოთქვენ თბილისელმა მაყურებლებმა და თეატრმცოდნეებმა. ყოველგვარ ეჭვს ვარეშეა, რომ ჩვენი ნამუშევარის საზოგადოებრივი განხილვა უაღრესად მაღალ პროფესიულ დონეზე და ნამდვილად ძმურ ვითარებაში ჩატარდა. თეატრის კოლექტივის სახელით მადლობას მოვასხენებ თბილისელ მეგობრებს.

მე, როგორც თბილისელს, ჩემს საამაყო მოვალეობად მიმაჩნია ლენინგრადელ მაყურებლებს გავაცნო ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები. ამიტომ ახლა ხელმეორედ, უფრო გულდასმით ვსწავლობ ცნობილი ქართველი დრამა-

ტურგების დ. კლიაშვილის, პ. კაკაბაძის, ს. შანშიაშვილის მ. მრეველიშვილის და სხვათა ნაწარმოებს. ერთნაირი გატაცებით ვიმუშავებ ლენინგრადის სცენაზე როგორც ქართული კლასიკური, ისე თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშების განსახორციელებლად. სხვა რუს რეჟისორებთან შედარებით ის უპირატესობა მაქვს, რომ კარგად ვიცი ქართული ენა. ადვილი მოსალოდნელია, რომ პიესად გადავკეთებთ ქართული პროზის რომელიმე ნაწარმოებსაც.

გარდა ამისა, არსებობს შეთანხმება, რომ ამ სეზონში მე მარჯანიშვილის თეატრში ერთი პიესა უნდა დავდგა. მუშაობას შევუდგები, როცა თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტთ, სახელდობრ რა პიესა იქნება ეს.

## ვახტანგ ვახუციანი

ამჯერად ჩვენ ვხედავთ ვახტანგ ვახუციანს კულტურის უნივერსიტეტის ლექტორის როლში.

მისი მსმენელები სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ნოდარ ნიკოლაძე, ტარიელ ჭუბაბრია, სიხარულიძე და სხვები არიან.

ვახტანგ ვახუციანი უამბობს მათ თავისი ახალი დადგმის — სულხან ცინცაძის ბაღეტის „დემონის“ შესახებ.



## უშინუი ისკლიანი

უკვე რამდენიმე კვირაა მტკვარზე მუშაობს სამდინარო ტრამვაი. სტალინის სახელობის ხიდიდან ორთაჭალკესამდე ნახევარ საათში ჩადის; — გზადაგზა ექვს ადგილას ჩერდება, — ყოველ რეისზე 60-70 მგზავრი გადაჰყავს. თითო ტრამვაის სულ ოთხი კაცი ემსახურება.

— მე თქვენთან ერთად მიხარია, — გვითხრა თბილისის სამდინარო ფლოტის უფროსმა კაპიტანმა უშინუი ისკლიანმა, — რომ თბილისს ახალი ტრანსპორტი შეემატა. განსაკუთრებული მადლობის ღირსნი არიან ბათუმელი გემთმშენებლები, რომლებმაც ერთი სამდინარო ტრამვაი — „აქარა“ — საჩუქრად უძღვნეს თბი-

ლისელებს. მაგრამ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ახლა ლენინგრადში პლასტმასის კომფორტაბელურ 8 სამდინარო ტრამვაის აგებენ.

გარდა ამისა, რომ ისინი უფრო ლამაზნი და კეთილმოწყობილნი იქნებიან, კიდევ ერთი უპირატესობაც ექნებათ: თუ ახლანდელი სამდინარო ტრამვაი სრული დატვირთვისას წყალში 1,5 მეტრის სიღრმეზე „ჩდება“, ლენინგრადულსთისის საკმარისი იქნება 0,5 მეტრი. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს რეისები ორთაჭალკესიდან „დინამოს“ სტადიონამდე გავაგრძელოთ.





1918 წლის ნოემბერში გარდაიცვალა ნიკოლოზ პუბლიცისტი და ჟურნალისტი, 60-ანი წლების მოღვაწეთა თანამედროვე და ახსნაგა, ქართული პრესის დაუღალავი მუშაკი დავით მიქელაძე (მწერლობაში „მეველეს“ ფსევდონიმით ცნობილი). „ხანიათში რაინდული თვისებანი და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიული მიდრეკილება ერთად აქვს შეზავებული“-ო, წერდა მასზე სერგეი მესხი. 1878 წელს იგივე ს. მესხი პარიზიდან შენევაში ეკატერინე მელიქიშვილის ასულს აცნობებდა: „მომავალი წლიდან ახალი პლანები შექმნის გაზეთის თაობაზე... მინდა მიქელაძე წავათხოო აქედან და ახალი წლიდან სამჭერ გამოვცე გაზეთი... ეს თუ მეყოლა, მერე არც შენი კირილე, არც ნიკოლაძე, არც წერეთელი და არც სხვა არავინ მუდამ თანამშრომელი არ მინდა... საზოგადოდ, მიქელაძე, როგორც ეტუობა, კარგი ცოცხალი ჟურნალისტი დადგება“.

დ. მიქელაძემ გაამართლა ს. მესხის შეხედულება, იგი „დროებას“ უძღვებოდა კარგა ხანს; მასვე დაენდო ილია ჭავჭავაძეც, როცა 90-ან წლებში „ივერიას“ დ. მიქელაძე ჩაუყენა სათავეში. გიორგი ლასხიშვილი მემუარებში დ. მიქელაძეზე წერდა: „დავით მიქელაძეს უმადლესი სწავლა არა ჰქონია მიღებული, მაგრამ საქმოდ განვითარებული კაცი იყო, იცოდა კარგად ფრანგული ენა... უნდა ვსთქვა, პატიოსანი და პარლამირი კაცი იყო, მეტად ზრდილობიანი, თავაზიანი...“


დ. მიქელაძის მრავალმხრივი ცოდნა და დავიკრებული ნიჭის უნარი გამოვლინდა „დროებას“ და „ივერიაში“ მუშაობისას. ბევრის მნახველი, ბევრის წამოიხვედელი, ცოცხალი გონების პატრონი, სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური ვითარების შემფასებელი, ევროპისა და რუსეთის კარგად მცნობი იყო იგი. დ. მიქელაძე წერდა ყველა იმ საკითხზე, რასაც ქართული პრესა XIX საუკუნის უკანასკნელ ოთხ ათეულ წელს აქცევდა ყურადღებას, ძირითადი კი იყო საქართველო, ქართველი ხალხი, რევოლუციური მოძრაობა ევროპაში, ქართული ლიტერატურა და თეატრი.

დ. მიქელაძე 1844 წელს დაიბადა და 1918 წელს გარდაიცვალა. იგი შექმნილი თავადის შვილი იყო, მაგრამ როცა დავაყვავდა, სხვა რწმენა გამოიშუშავა, ვიდრე მისი წრე უკარნახებდა. მისი სახლი სოფელში (კულაშში) თუ თბილისში ან ქუთაისში მაშინდელ მოღვაწეთა სადგომ-თავშესაფარი ყოფილა, თუმცა თვითონაც სხვა ქვეყნებისთვის შეუფარებია თავი, მაშინდელი ხელისუფლების დევნისაგან. ვარლამ ჩერქეზიშვილს ერთ წელიწადს მასთან ფარულად უცხოვრია ფრანგი მხატვრის სახელით, ალ. უახზბეგი მის სახლში წერდა მოთხრობებს, ილია ჭავჭავაძე დავითის ვაჟის — ივერიკოს ნათლია იყო, აკაკი წერეთელი ხშირად გასწიბრებია მას ჭადრაკში, გიორგი შერვაშიძე გულთბილად მეგობრობდა, ხოლო ნიკო ნიკოლაძესთან ერთად იგი პარიზში ბეჭდავდა გაზეთ „დროებას“.

70-ანი წლების დასაწყისში დ. მიქელაძე პარიზში ჩავიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო კომუნარების სისხლი შემშრალი პერ-ლაშეზის სასაფლაოს კედელზე. რესპუბლიკური წყობილებით გატაცებული იგი „დროებას“ აწვდიდა მასალებს. ფრანგ რესპუბლიკელებში შერთული დ. მიქელაძე თავისად თვლიდა დემოკრატიის გამარჯვებას. „ომი მოვიგეთ, გამარჯვება დემოკრატიის და თავისუფლების დამცველებს ხვდათ“-ო, იწერებოდა იგი.

1878 წელს პარიზში დასაფლავა კომუნის მონაწილე დორიანი. ლეონ გამბეტამ მის საფლავთან სიტყვა წარმოთქვა, პარიზში დიდი დემონსტრაციით გამოხატა პატივისცემა დორიანისა და გამბეტასადმი. დ. მიქელაძე „დროებაში“ წერდა

ამაზე. მაგრამ ცენზურაში გატარებული საგაზეთო მშრალი კორესპონდენცია ყველაფერს ვერ ეტყოდა მეითხველს. დ. მიქელაძის აღტაცებული პორტრეტის დახატვაში გვეხმარება პარიზიდან შენევაში ოღლა გურამიშვილის ქალთან ნ. ნიკოლაძის გაგზავნილი წერილი, რომელშიც წერია: „დორიანმა პარიზის გარემოცვისას ის გააკეთა, რაც გამბეტამ პარიზშიცაა“-ო, — წერდა ნ. ნიკოლაძე თავის მომავალ მეთულს. „დორიანის დასაფლავებაზე პროცესიის თავში ღრმად მწუხარე გამბეტა მიდიოდა, რომელსაც მოსდევდნენ მღი ბლანი, კონსიდერა-



ნი და სხვები, ერთი სიტყვით ყველა, რაც კი პარტიაში რაიმე როლს ასრულებს... მიქელაძე თავდავიწყებული იყო აღტაცებისაგან, მე და იმ-მაილოვი რომ არა, ალბათ, გადახვევოდა გამბეტას, მაგრამ ჩვენ ვაკებდით მის გულისწადილს“. ჩვენ კუბოს მივყვებოდით ისეთი სახით, რომ ყველას მახლობელი ნათესავები ვეგონეთო. გამბეტას პარიზელები და სამი ქართველიც მოუჯადოებია. „მიქელაძემ, რომელსაც ხელი შევევფეთ, რომ ნერვები როგორმე შეგვემარებინა, უცხად დაიღრიალა — ვივ და რეუბლიკი, უფრო კი — ვივ ლია რესპუბლიკი, და ისე დაიღრიალა, რომ ათათასიანმა ბრბომ მორთო ღრიალი, ტაშისცემა, ხმაური, თითქოს თეატრში ყოფილიყო და არა დასაფლავებაზე. მინდოდა პირზე ხელი დამეფარებინა, მაგრამ გვიან იყო. დასაფლავებაზე რომ არ ვყოფილიყავი; ალბათ მეტი განდიდებისათვის მეც დავიყვირებდი: ბატონებო მეოჟი, ეს თავადია რესპუბლიკის გამარჯვების წარმომთქმელი“... „როცა ალყაფის კარებში გამოვდიოდით, — აგრძელებს ნიკოლაძე, — მიქელაძემ, რომელიც გამბეტას გვერდით მოჰყვებოდა, მოიხადა თავისი უცნაური ქული და დაიწყო: ვივ ლე სიტოიენ გამბეტა. ბრბომ, რომელსაც მიქელაძის აქცენტთან არა ესაქმებოდა რა, ამ ყვირილს მჭუხარედ მისცა ხმა...“

1874 წელს, იგი უკვე საქართველოში ჩამოსული, მონაწილეობას იღებს ახალი და ძველი თაობის ბრძოლაში. 1874 წელს გრ. ორბელიანმა დაწერა „პასუხი შვილთა“, რომელიც დაამთავრა სიტყვებით: „ცრუ ლიბერალნი, პატრიოტები, მესხი, მეველე, მელიქ-აღბი...“ დ. მიქელაძემ სხვებთან ერთად პასუხი გასცა მსოფიან პოეტს და „დროებაში“ დაბეჭდა „საქირო განმარტება“, რომელშიც წერდა: „სანამდის სამღურავი შეეხებოდა ჩვენს პირადობას, სანამდის ეს არ გამოთქმულა ლიტერატურულის გზით, სანამდის მოწინააღმდეგენი ფარდის ქვეშ არიან მიმალულნი, რასაკვირველია, პასუხის მიცემაც უკადრისი იქნებოდა ჩვენგან.

მაგრამ, როდესაც გვეხმის ისეთი რამეები, გადასხვაფრება, გაუგებლობა, სპეცულური რჩენილება არავისზე ნაკლები არ მიგვაჩნია, რომლის ფასი ერთობ კარგად ვიცით, მაშინ გაჩუმება და სრულიად უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. დღეს ვუპასუხებთ იმათ, ვისაც შეუდგენია აზრი, ვითომ ჩვენ ძველ ცხოვრებას არავითარ პატივს არა ვსცემდეთ, ვითომც ყველაფერი, რაც კი ძველია, სამასხაროდ და სავნებლად მიგვაჩნდეს, ვითომ ჩვენ სრულიად უარსა ვყოფდეთ ყველაფერს, რაც კი ჩვენამდე ყოფილა“. დ. მიქელაძეს შეუძლებლად მიანდა ღრმა პატივისცემის გარეშე მოხსენება ქართველებისა, ერთი მუჭა ხალხისა, რომელსაც ორი ათასი წლის განმავლობაში ზნეობისა და ქეშმარიტების დამაპირი ხელში ეპყრა. იგი მხოლოდ მათ წინააღმდეგ იმადლებდა ხმას, როგორც „შვილების“ წარმომადგენელი, რომელნიც სასყიდელს ითხოვდნენ სამშობლოსაგან.

დ. მიქელაძეს გამოეხმაურა დავით ქადაგიძე, შენევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და მაშინ მეცხვარედ მყოფი დ. ქადაგიძე ქართული აზროვნების ისტორიაში ჯერ გამოუჩენელი ადამიანია, რომელმაც „დროებაში“ დაბეჭდილ წერილში გამოთქვა შემდეგი: „ჩვენ ძირახავთ ჩვენს მამებსა და პაპებს და იმის იქით ისტორიის სიღრმეში არ შევდივართ... რით დამსახურებენ ჩვენი მამა-პაპები და მათი დროის კაცები შეწყნარებას? მამულის სიყვარულით? მისთვის მზრუნველობით? ხალხის განათლებით? თუ მემამულეთა დასმენით და მტრებთან ენის მითანით?“ დ. ქადაგიძე მკვეთრად ემიჯნებოდა „მამებს“. „სასირცხვილოა თქვენი შეიღობა, მძინწულობა, ბიძაშვილობა, მაგრამ რა ჰქნას კაცმა“-ო, დაასკვნოდა თავის ახალგაზრდული შეტევისას უნივერსიტეტდარსრულებული მწყემსი.

ეს გამოხმაურებანი გრ. ორბელიანის „პასუხზე“ საინტერესო მომენტია ილია ჭავჭავაძის მიერ დაწვებული მოძრაობისა.

1879 წელს მაისში ქუთაისის ბანკის გამგეობის ანგარიშში იყო ერთი პარაგრაფი, რომელშიც მოხსენებული იყო, ბანკის შემოსავლიდან ორ გლენის შვილს ორას-ორასი მანეთით დავებმართ უმადლეს სასწავლებელში სწავლის მისაღებად. ერთ-ერთ მეპაიეს, აზნაურ დარსაველიძეს მეტად სწყენია ეს ამბავი და პროტესტი გამოუცხადებია, როგორ თუ ჩვენი ბანკის შემოსავლიდან გლენებს არგუნეთ რამეო. კულაბაზეა აზნაურის დარსაველიძის საპასუხოდ დ. მიქელაძე გამოსულა და იგი საჯაროდ შეურცხვენია. „სირცხვილია, ბატონებო ეს, სირცხვილია კეთილშობილ საზოგადოებისათვის ესეთი საყვედური ამგვარი საქმისათვის ათასი წელიწადი მუქთად გვემსახურებოდა, მუქთად გვარჩენდა ჩვენ ეს გლენკაცობა თავის ოფლით და თქვენ, კეთილშობილნი, ესრე დასტირით იმ ორას მანეთს, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოების მხრით დახარჯულია ამ გლენკაცის შვილებზედა, იმ ჩვენივე მამულის შვილებზედა“

ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურობამ დ. მიქელაძეს მხარი არ მისცა, მაგრამ შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი. მსოფიანმა დიმიტრი ყიფიანმა გაზეთით მადლობა გამოუცხადა დ. მიქელაძეს: „დამარცხება და თქვენი სახელოვანი არის ჩვენს პატარა ქვეყანაში დე სასიქადულო“-ო.


დავით მიქელაძე იღვწოდა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. მას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა ქართული პრესისა და პუბლიცისტიკა-ჟურნალისტიკის უდებრო მუშაუთა შორის. ეს ადგილი გამოვცეთასა და გულისხმიერ შესწავლას მოითხოვს.

ს. ხუციშვილი.

## პ. ან კველ სახლი

ას წელზე მეტი ხანია დგას ეს სახლი — № 6 — ჯორჯიაშილის ქუჩაზე. ერთ დროს ის ქალაქის გარეუბანში იდგა და მის გარშემო თითო-ორილა შენობა თუ იყო აღმართული. სახლი ეკუთვნოდა მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გიორგი ერისთავის უახლოეს ამხანაგს, პოეტს, პუბლიცისტს, თეატრალს, საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალ „ცისკრის“, აქტიურ თანამშრომელს. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის ყველა გამოჩენილ მწერალთან და მოღვაწესთან. ამ სახლში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ცნობილი ადამიანები და აქ მოთავსებული იყო მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. აქ წარმოიქმნა ამხანაგობა ქართველ კლასიკოსთა გამოსაცემად; ჩამოყალიბდა მუდმივი ქართული სცენა, მასწავლებელ ქალთა საზოგადოება, დაარსდა ჟურნალი „ჩეჩილი“. აქვე იმართებოდა სცენისმოყვარეთა რეპეტიციები (მ. საფაროვ-აბაშიძისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით) და საქველმოქმედო კონცერტები. აქ იყო გაზეთ „ნოვოე ობოზრენიესა“ და „კავკაზსკოე სლოვოს“ რედაქციები, სადაც თავისი ჰაბტუკური ლექსები მოჰქონდა ახალგაზრდა გორკის.

ამ სახლში ხშირად ნახულობდნენ მ. თუმანიშვილს თბილისში ერთადერთი რუსული გაზეთის „კავკაზისა“ და ერთადერთი ქართული ჟურნალის „ცისკრის“ თანამშრომლები — მისი მეგობრები და პატივისმცემელები. აქ დადიოდნენ და მუშაობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ილია და აკაკი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, ბ. და ნ. დობეტიძეები, დიმიტრი ბაქრაძე, შირვანზადე, სტეფანე შაუმიანი, ვსევოლოდ მეიერხოლდი და სხვანი. ერთ-ერთ საქველმოქმედო კონცერტზე უმღერია სახელგანთქმულ შალიაბინსაც.




კიევი განთქმულია შესანიშნავი პარკებით. ყველა ქუჩა და მაგისტრალი მწვანეშია ჩაფლული. მწვანე მადლობები ზემოდან დაჰყურებენ ქალაქს და დანერგა. გაღმა მხარეს კუნძული ვეებერთელა შიდროპარკადაა ქცეული და სადამოლობით იქ უამრავი ხალხი ისვენებს. თვით ქალაქშიც ბევრი კარგი დასახვევებელი ადგილია. კიევის ხშირად თბილისს ადარებენ, — აქაც მთა-გორიანი რელიეფია, ორივე ქალაქი თავისებურად მშვენიერია და ლამაზი!

ახლახან გაშენდა სამამულო ომში დაღუპულთა დიდების პარკი, სადაც

დგას დიდებული მონუმენტი — გრანიტის ობელისკი, რომლის მისადგომთან ანთია მარადიული ცეცხლი. ცოცხალი ყვავილები ამკობს მონუმენტის კვარცხლბეკს.

აქ, მწვანე ხეივანში, საუკუნო ძილით განისვენებენ ჩვენი დიდი ქვეყნის გმირები. აქ რუსი და უკრაინელი გენერლებისა და ოფიცრების გვერდით ვნახეთ საქართველოს შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ნიკოლოზ გოგიჩაიშვილის საფლავი. მან თავი შესწირა სამშობლოს განთავისუფლებას, უკრაინის მიწაზე იბრძოდა და უკრაინელი ხალხი მის



## „მედია“ ღია ხის ქვეშ



ამ სახლის ეზოში, ნახევრად სარდაფულ სადგომში, ერთ დროს თავს აფარებდა თბილისის ბოლშევიკთა იატაკქვეშა სტამბა. აქ იყო რიადნოვის საოპერო სტუდია და ნ. გრიჭუროვის კლასი. აქვე, ბოლო ხანებში, მოთავსებული იყო გაზეთ „მუშის“ რედაქცია.

1843 წლიდან 1873 წლამდე მთელი ოჯახით აქ ცხოვრობდა მიხეილ თუმანიშვილი; სახელოვანი ქართველი მოღვაწის ხსოვნის უკვდავსაყოფად ამასწინათ სახლს გაუყეთდა მემორიალური დაფა.


## ქართველები კიევიში

სსოვნას ღრმა პატივს სცემს. უკრაინელმა ხალხმა, საერთოდ, კარგად იცის, როგორ პატივს სცემენ საქართველოში მის საუკეთესო შვილებს — ტ. შევჩენკოს და ლესია უკრაინკას. სამაგიეროდ უკრაინაც არ ივიწყებს ჩვენს დავით გურამიშვილს; მის მეორე სამშობლოში მას მშვენიერი ძეგლი აუგეს და დააფასეს. კიევში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას დიდი შოთას სახელი აქვს მინიჭებული. კიევის ისტორიულ მუზეუმში მრავალი მასალაა ექსპონირებული, რომელნიც ჩვენი ხალხების მტკიცე მეგობრობას მოწმობენ, სამამულო ომის გმირის დავით ბაქრაძის სახელი აქ არ დაუვიწყიათ. აქ ინახება ბაქრაძის ავტომატი წარწერით: „პარტიზანული ბრიგადის მეთაურს დ. ბაქრაძეს კოტოვსკის სახელობის რაზმის მებრძოლთაგან“.

კიევში ახლაც მოღვაწეობენ ქართველი ინჟინრები, ხელოვნების მუშაკნი, ექიმები, პედაგოგები. ბევრი კიეველი არასოდეს არ დაივიწყებს განთქმული ქირურგის ალ. ფხაკაძის მადლიან ხელს. გამოგონებული ალ. მელია უკრაინის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატია. ელ. სტუ-

რუა ყველასგან პატივცემული პედაგოგი, მეცნიერი ქართველი ქალია, იგი მომავალ თაობას ზრდის უმაღლეს სასწავლებელში, არქიტექტორებმა კ. ჯანაშიამ და შ. ჰედიამ, დავით გურამიშვილის ძეგლის გარდა, მრავალი დირსშესანიშნავი შენობა დააპროექტეს და ააშენეს უკრაინის ფარგლებში და თვით კიევშიც. კიევის უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობს.

ლევან ჯაფარიძე



იმ დღეებში სოხუმისა და გუდაუთის სტადიონებს უჩვეულო სტუმრები ეწვივნენ. ფარგბომარჯვებული შუბოსანი მეომრები, ტოგებში გამოწყობილი დიდებულები... მრავალი ასეული წლების შემდეგ არგონავტები ისევ ესტუმრნენ მგზნებარე კოლხიდის მიწა-წყალს, მაგრამ ახლა ისინი აფხაზურად მეტყველებდნენ... აფხაზეთის სახელმწიფო თეატრმა დადგა ევროპიდეს ტრაველია „მედია“ (თარგმანი ი. ჩოჩუასი) — და ისე, როგორც ოდესღაც საბერძნეთში — სტადიონზე გაისმოდა კორინთელი ქალების ხორო, რომელიც ხან ჰგომბდა იაზონის საქციელს, ხან მედეასთან ერთად მოსთქვამდა...

ჩეკისორმა გ. სულიკაშვილმა მონუმენტური ტრაგედიულად მელერი სპექტაკლი დადგა. ამ საინტერესო წარმოდგენის წარმატება განაპირობა საქართველოს სსრ სახალხო არტისტების მ. ზუხბას (მედია) და შ. ფაჩალიას (იაზონი) ნიჭიერმა თამაშმა.

ქაქი სსრ კ. მარქსის  
სსრ, სსრ, რესპუბ.  
ზოგადი მოთხოვნა

# ქარველი კანონები



პ. ალიონიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი — შ. ილიაშვილი

ღვწელმოსილი პროფესორის დავით მარნეღლის იუბილეს თან მოჰყვა დიდებული სადილი, სადაც მრავალი პატივისცემით და სიყვარულით აღსავსე მგზნებარე სიტყვა ითქვა და ბევრი ჭიქა შამპანურიც დაიცალა. როდესაც ოფიციალური სტუმრები გაიკრიფნენ და ახლობლები და გულისთავი მეგობრები დარჩნენ, სადილი შეუმჩნევლად ვახშმად გადაიქცა, რამაც შეგვიანებამდე გასტანა. მასპინძელი მაგიდიდან წამოადგა და სტუმრებთან ერთად კაბინეტში გავიდა.

პროფესორი თავის ჩვეულ ადგილას — ტყავის სავარძელში ჩაჯდა. სტუმრები გარს შემოუსხდნენ და გაიმართა ტკბილი საუბარი.

საწერ მაგიდაზე ღია მწვანე, მარმარილოს ნატეხი იდო. ზედ მოკლული შველის პაწია ბრინჯაოს ქანდაკება იყო მიმარტებული. მხახველს ეგონებოდა, ტყვიით გულ-გამირთული შველი, ხასხასა ბალახზე ეს არის დაეცაო. ახალგაზრდა მეცნიერმა, რომელსაც უცხო სახელს ვოლდე-მარს ეძახდნენ, ხელი გადაუსვა შველს და პროფესორს მიმართა:

— სახსოვარია, არა?

— გამოიცანით, — სახსოვარია და ისიც ორმაგი: ჭერ ერთი იმისა, რომ საკმაოდ ცნობილია მხატვარმა რემ-ბოვსკიმ მაჩუქა, მეორეც იმიტომ, რომ პირველი ჰონორარია — ბავშვი განვუტრნე.

— გამიგია, რომ როგორც პირველ სიყვარულს არ ივიწყებს კაცი, ისევე ექიმიც არ ივიწყებს თავის პირველ პაციენტსო, — ეშმაკურად ჩაილაპარაკა ვოლდემარის მეუღლემ.

— უნდა მოგახსენოთ მეგობრებო, — განაგრძო პროფესორმა, — რომ თუმცა პირველი ჰონორარია, მაგრამ პაციენტი კი მეორეა, და მხატვრის ფუნ-ტოშა გოგონა, მართლაც, თქვენი სიტყვით რომ ვთქვა, სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში.

— გამოგვიტყვი დავით, ის პირველი პაციენტი გონჯი დედაბერი ხომ არ იყო?

— გულახდილად მოგახსენებთ, არც კი ვიცო, ვინ იყო...

— ნუ დაიზარებთ და მოგვიყვებით, ალბათ, საინტერესო ამბავია, — სთხოვეს სტუმრებმა.

დავითმა გაიღიმა, სავარძელში უფრო მოხერხებულად მოეწყო და დაიწყო:

„ის იყო 1908 წლის გაზაფხული მიიწურა, როცა მე და ჩემმა ახლა უკვე გარდაცვალებულმა მეგობარმა,

თედო ზანგირიძემ, პეტერბურგის უნივერსიტეტი დავამთავრეთ და სამ-შობლოსაკენ გამოვეშურეთ.

მასობლები სიხარულით შეგვებგებნენ, ჩვენი პატარა ბინიდან ერთი ოთახი საკუთრივ ჩემთვის გამოჰყვეს და თავისი ხარჯით უბრალო კაბინეტი მომიწვეს. სადარბაზო კარებზე ლამაზი ასოებით დაწერილი პატარა დაფა მოაქედეს, სადაც ეწერა, რომ მე, ესა და ეს ვიღებ ავადმყოფებს 4 საათიდან 7-მდე და ა. შ. მასობლებმა დამლოცეს და მითხრეს: აბა, შვილო, ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ და ახლა შენ იცი და შენმა კეთილ-კაცობამო.

დიდის მონდობებით შევუდექი ახალ საქმეს. მოთმინებით მოველოდი პაციენტებს, თან ბოტკინის სახელმძღვანელოს შეათედ, თუ მეოცედ ვიზეპირებდი. გავიდა 4-5 დღე, შესრულდა ერთი კვირა, მეორე კვირაც დაიწყო, მაგრამ ავადმყოფები არა ჩანდნენ. თედოსთან წავედი, ერთი შევეკითხო, თბილისელებმა იმის უბანშიც შეკრეს პირი, რომ ავად აღარ გახდნენ, თუ რა ამბავია-მეთქი. შეპირებული ვიყავით, პირველი ჰონორარით ერთად გვექეიფა. თედო დადრემილი და შეფიქრინებული დამხვდა. გუშინდლამდე არავინ მოსულა, მხოლოდ გუშინ დედას ერთი გადარეული 10 წლის ბიჭი მოუყვანია, რომელსაც — აბაზიანი გადაეყლაპა.

თედოს ყურადღებით გაუხინჯავს ბავშვი და დახმარებაც აღმოუჩენია.

— მას ნავსი გატუდა, მომილოცავს, ჰონორარია მიიღე და ხმასაც არ იღებ? — მივმართე მე.

— ჰონორარია კი მივიღე, მაგრამ პირობას ვერ შეგისრულებ, — ცივად მომიგო თედომ.

— რატომ შე მუხანათო, შენ? — შევძახე მე.

— რატომ და იმიტომ, ჰონორარია არც მე, არც შენ — ის თავგებისაა.

— როგორ თუ თავგებისა? კაცო, რა უცნაურობას ლაპარაკობ, აბა რაში სჭირდებათ თავგებს შენი ოფლით მონაგარი ფული. გამოტყდი, ფული არ მოგცა, განა?! მეტუე ექიმს...

— სცდები, ქალმა აქნალებული ხელით მანეთიანი მაგიდაზე დადო. მანეთიანი მაგიდიდან გადმოვარდა, დაგორდა და იატაკის ნაპრაღში ჩავარდა.

— ვერაა კარგი საქმე. მერე რად ჩააგდე, ვერ დაიჭირე?

— იმ ქალის თვალწინ მანეთიანს ისე ხომ არ დავდევენებოდი, რო-

გორც მწევარი კურდღელს? — წაიბუტბუტა თედომ.

უცებ კიბეზე ხმაური გაისმა, კარი დაუკოთხავად შემოაღეს და ზღურბ-ღებზე ჩვენი გიმნაზიის ძველი ამხანაგები გამოჩნდნენ: ლადო, გაგლა, სოსო და ტიტკო. ჩვენი ჩამოსვლა გვიან გაეგოთ, პირველი მანეთიანის ამბავი რომ გაიგეს ჰომერული ხარხარი ასტეხეს. ლადომ გვიჩიოა, ჯღურგალს მოგიყვანთ, იატაკს აპყროს, მანეთიანს ამოიღებს და მერე ისევე დასტედავსო, მხოლოდ ის მანეთიანი მასვე უნდა მისცეთ გახამრჩე-ლოთო“. სოსომ აზრი არ მოიწონა, მანეთიანი ღურგალი ცუდი ხელოსანი იქნებოა. „მე პირველი კლასის ღურგალს მოგიყვანთ, რომელიც ხუთ მანეთზე ნაკლებს არ დაგჭერდე-ბათო“. თავჭარიანმა სტუმრებმა მეცა და მასპინძელიც რესტორანში დაგვ-პატიეს და მათივე სიტყვით შამპანურში არა მარტო „დაასველეს“, არამედ აცურავეს კიდეც ჩვენი დი-ლომები.

მე დავუბრუნდი ჩემს მღუშარე კაბინეტს. მეორე, თუ მესამე დღეს როცა დავიძღის ყვითელ ატროფიას ვიმეორებდი, ვილაცამ სადარბაზო კარის ზარი დარეკა. უკვე გვიან იყო. საათის ისარი 12-ს უახლოვდებოდა. არ მინდოდა შინამოსამსახურის გაღვიძება და თვითონ გავუღე კარი მოსულს. ქუჩის ფანრის მბუტუავ სინათლეზე რამდენიმე კაცის სილუეტი გავარჩიე, ერთი მათგანი მომიახლოვდა და შეცვლილი და აღელვებული ხმით მომმართა: — ბატონო ექიმო, გვიშველეთ, ქალაქის თავი ხატისოვი სასწრაფოდ გიბარებთ, მისი სიდედრის დედამთილს, ზურგვილის მირთმევისას ვებერთელა ფხა გასტეღია ეულში და ახლავე უნდა წამობრძანდეთო; თან არ დაივიწყოთ, კრილოვის იავ-არაკების კრებული წამოიღეთ, წეროს გამოცდილების მაგალითი უსათუოდ გამოგადგებათო: მიხვდით, ვინც იქნებოდნენ? ბევრი იცინეს, ბევრი იოხუნჯეს, მეც მაინეს, თუმცა ეს უხვირო ხუმრობა, ცოტა არ იყოს, არ მეჭანია. მეორე დღეს, დილით, ვნახე — განცხადების დავაზე ვილაცას ქიმიური ფანქრით ბექ-ღური ასოებით მიეწერა: „ათინის უნივერსიტეტის გამომჩენილი პროფესორის ჰიპოკრატეს საუკეთესო მოწაფე“.

კიდეც გავიდა ხანი. შუალამე გადასული იყო, რომ ზარი დარეკეს. ჭერ ვიფიქრე, არ ჩავალ, დაე, რამდენიც უნდათ იმდენი რეკონ და არა-

ხუნონ-მეთქი — მაგრამ შემდეგ გულში იმედის ნაპერწკალმა იელვა, იქნებ, მართლაც, ავადმყოფთან სასწრაფოდ მიწვევენ-მეთქი. ისევ ჩავედი და კარი გავაღე. ისევ რამდენიმე კაცის ფიგურა გავარჩიე. ერთმა მათგანმა ცივი ხელები ჩამჭიდა, სალტესავით მაგრა მომიჭირა და შეძრწუნებული ხმით შემომძახა: უფალო ექიმო, ბოდიშს ვიხდი, ჩვენც კი ვიცით, რომ აკუშორი არა ბრძანდებით, მაგრამ გვიხსენით გასაჭირისაგან: ეგზარხოსი მამა ნიკანორი გინმობთ, მის მეეზოვე ტიმოთეს მუცელი ასტევიდა, მოზობირობა ეწყება და, აბა, თქვენ იცით და თქვენმა გამოცდილებამო.

აღელვებულმა მთელი დამე ვერ დავიძინე.

მეორე დღეს ისევ წარწერა დაფაზე: „ექიმმა მარნეღმა ოქსორდის უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ცარიელი კუჭი, მისი კლინიკა, პროგნოზი და პროფილაქტიკა“.

ამის შემდეგ არ გასულა 24 საათი, რომ დამის 12 საათისათვის ხელახლა ზარის წყარუნი გაისმა. გული ამიფანცქალდა და მისი ბავაბუგი მკაფიოდ მესმოდა. ახლა კი დადგა უამის თქვენი ჭკუის სწავლებისა-მეთქი გავიფიქრე. ფხაურეფით შევედი სამზარეულოში, კურჭლის ნარეცხით სავსე სათლს დავავლე ხელი და სწრაფად ჩავიბრინე კიბე; უცერად გავაღე კარი და იქვე მდგომ კაცს ჭუჭყიანი წყალი გამეტებით შევასხი შიგ სახეში. ვაი სირცხვილო! ხელში შემერჩა ხმელ-ხმელი, მალდი ხნიერი უცნობი კაცი. მბუტუავ სინათლეზე ნათლად გავარჩიე ჩინოვნიის ქული, ორივენი სახტად დავრჩით და ერთი მეორეს შემოიღებინათ ვუყურებდით. შემდეგ იგი თითქოს გონს მოვიდა. ლულულულებდა: „რა ხულიგნობაა! რა უტიფრობაა! მე პოლიციას ფეხზე დავაყენებო“. თან ხელსახოცით ზიზლით წვერს იწმენდა, რა თქმა უნდა მის ჭრილა ხმას ყური აღარ ვუგდე; ელვის სისწრაფით კიბეზე ავიბრინე, და თვალისდახამხამებაში კაბინეტში გავჩნდი..

ცოტა ხნის შემდეგ ფანჯარაში გავიხიდე... არავინ იყო... წავიდა... წავიდა ის, ვინც შეიძლება ჩემი პირველი პაციენტი გახდარიყო...



1806 წელს ქ. თბილისში დაარსდა პირველი სახანო ავთიაჰი. პირველი „თავისუფლად მოვაჭრე ავთიაჰი“ გაიხსნა ქ. თბილისში 130 წლის წინათ — 1829 წლის მაისში. 1832 წელს ამ ავთიაჰის პატრონმა შენებერგმა ავთიაჰი მიყიდა პროვიზორ კარლ შმიდტს. 1872 წელს ხსენებული ავთიაჰი იყიდა ექიმმა მიხეილ შახბარორიანცმა, 1892 წლიდან — კი ეს ავთიაჰი ეკუთვნოდა ფარმაციის მაგისტრს ფერდინანდ ოტენს, 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

ბის შემდეგ აღნიშნული ავთიაჰი ნაციონალიზირებული იქნა. ამჟამად ეს არის მთავარი საფუნდოვანო-სამეცნიერო თელოს ავთიაჰი № 28, იგაქცია კი არა ვის ქუჩის № 8-შია მოთავსებული. ამ ავთიაჰში, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ავთიაჰებში, ახლა უმეტეს წილად არა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი წამლები — არამედ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი და დამზადებული წამლები იყიდება. ს. ხალვაშაძე

### როგორ დაიბადა ქალაქი

ჩინეთის დამწერლობა უძველესია მსოფლიოში. არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში ჩინელებს უკვე ჰქონდათ ბამბუკის ღეროებსა და ფიცრის ფირფიტებზე დაწერილი „წიგნები“, ამბობენ ჩინეთის იმპერატორს ჩენ ში-ხუანს ასოცი კლოგრაში საჩივრებისა და თხოვნების განხილვა უხდებოდა უოველდღიურად.

ჩინელების „კალმისტარიც“ სულ არ გავდა ჩვენს კალმისტარს. ეს იყო ფუნჯი — ხის ჯოხი, რომლის ბოლოზე მიკრული იყო წებოში ამოვლებული თხის ბალანი. ასეთ „კალმას“ ჩააწებდნენ ლაქში ან ტუშში და წერდნენ. ასეთი დაწერილის ამოფხვკა დანით შეიძლებოდა და ამიტომ დანა მწერლებისთვის. „პირველი საჭიროების ნივთი“ იყო.

1942 წლის შემოდგომაზე ჩინელმა არქეოლოგებმა გათხრების დროს კაინსუ-ს პროვინციაში იპოვეს ქალაქის ნაგლეჯი, რომელიც ძალიან წაგავდა თანამედროვე ქალაქს. ეს ნაგლეჯი აღმოჩნდა ხანის დინასტიის დროის წერილი, დაწერილი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ნაპოვნი ქალაქის შემადგენლობაში აღმოჩინეს მცენარეულის ბოჭკო.

კიდევ უფრო ადრე, პირველი საუკუნის მიწურულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ჩინელებმა პირველი ქალაქი აბრეშუმისა დაამზადეს. ეს ქალაქი ძალიან ძვირფასი იყო და ამიტომ ბევრისათვის — მიუწვდომელიც.

ძველი ჩინეთის ხანის დინასტიის ეპოქის უველაზე დიდ მიღწევად თვლიან დამწერლობის ახალი საშუალების — ქალაქის დაბადებას. ქალაქი გამოიგონეს დაახლოებით 115 წელს, ჩვენი წელთაღრიცხვით. ამ გამოგონებას მიაწერენ ჩინელ მეცნიერს ცაი ლუნს. ცაი ლუნმა მიზნად დაისახა გამოენახა ქალაქის დასაშენებლად იაფი მასალა. ხის ქერქის, ძონძების და ძველი დაგლეჯილი ბადეებისაგან ცაი ლუნმა დაამზადა მსოფლიოში პირველი ქალაქი. გადმოცემით ცაი ლუნს ეს დიდი საქმე ჩააგონა მისმა მონამ. მონა სიკვდილით იქნა დასჯილი იმპერატორ ან-დის ბრძანებით. თვითონ ცაი ლუნს კი, ქალაქის გამოგონებისათვის, იმპერატორმა „ქალაქის თავადის“ ტიტული მიანიჭა, ხოლო შემდეგ, სასახლეში შექმნილი ინტრიგების გამო, მასაც მოუხდოდა დასჯა, მაგრამ

ცაი ლუნმა დაასწრო იმპერატორს და თავი მოიწამლა. გამოგონებლის სახელის უკვდავსაყოფად ჩინელებმა ქალაქს ცაი-ცაო-ჩი შეარქვეს, რაც მოხელე ცაის ქალაქს ნიშნავს. მართალია მან ვერ შესძლო შეეცვალა დამწერლობის ძველი საშუალებანი, მაგრამ მისი უპირატესობა თანდათან აშკარა გახდა და ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნისათვის ჩინეთში, განსაკუთრებით სიჩუანისა და ციანის პროვინციებში, ქალაქის წარმოება დიდად განვითარდა.

ქალაქისა და აბრეშუმის წარმოებას ჩინელები საიდუმლოდ ინახავდნენ.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის შუა წლებში ჩინელმა სარდალმა გაო სენძიმ 30 ათასი კაცისაგან შემდგარი არმიით არაბეთზე გაილაშქრა. ჩინელები დამარცხდნენ. არაბებმა ბევრი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ. ტყვეთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ქალაქის დამზადების საიდუმლოება იცოდნენ. არაბებმა აიძულეს ტყვეები აეშენებინათ და მოეწყოთ ქალაქის ქარხნები. ამრიგად შეიქმნა არაბეთში ქალაქის წარმოება. ქალაქს არაბები უიღდნენ აფრიკაში, ეგვიპტესა და ესპანეთში.

ქალაქის დამზადების, ჩინური წესი თანდათან ცნობილი გახდა სხვა ქვეყნებშიაც და მე-15 საუკუნიდან უკვე ევროპაშიც გავრცელდა.

ბ. ცინცაძე.

### „ტარიელ გოლუა“ ურანგულ ენაზე

ურანგ გამოცემელთა გაერთიანებამ ურანგულ ენაზე გამოსცა ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“. უოველკვირეულ „ლეტრ ურანგულში“ უან რუარი წერს ამ წიგნისგან მიღებულ შთაბეჭდილებაზე. წერილის ავტორი წინასწარ ბოდიშობს, ლიტერატურული კრიტიკა ჩემი სტიქია არ არისო, მაგრამ მაინც ამ პატარა ავტორისფერუდიანმა წიგნმა იმდენად გაიტაცა ის, იმდენი სიხარული მიანიჭა მას და ააღლევა. რომ მოისურვა მთელი ხმათ ალაპარაკებულოყო ამის შესახებ.

უან რუარის აზრით „ტარიელ გოლუა“ შედეგურია. იგი განიხილავს ნაწარმოებს და მისი გმირების — ტარიელის, ლევანის, თინასა და გაიოზის ბედობას 1905 წლის რევოლუციისთან დაკავშირებით, რომლის დროსაც უხდებოდათ მათ მოქმედება. უან რუარი აღტაცებით ლაპარაკობს ქიაჩელის გმირთა თავდადებისა და ვაჟაკობის შესახებ; მათ ხალხის საქმეს ანაცვალეს უველაფერი, თვით სიუვარულიც კი. მწერლის მიერ ასახული სახეებში იგი ხედავს 1917 წლის რევოლუციონერებს, დიდი სამამულო ომის გმირებს მოსკოვთან, სტალინგრადთან, ადამიანებს, რომლებიც უტყვენ კოსმოსსა და შუეს.

„წიგნი საუცხოოდაა თარგმნილი, — შენიშნავს ქ. რუარი. — იგი თვით ცხოვრებაა, აღსავსეა ადამიანური სინაზით...“ ტარიელის სახე რუარს აგონებს ურანგ გლეხს. იგი ურჩევს უველას, წიკითხონ ქიაჩელის წიგნი და აუცილებლად წააკითხონ იგი სხვებს, რათა, ამ გზით, რაც შეიძლება უფრო ბევრი ადამიანი გაეცნოს მას.

ავტორი მოუწოდებს მკითხველებს მოიქცნენ ტარიელივით.

### გვიმნი

რა არის გვიმი? მრავალს ალბათ, არასოდეს არც გაუგია ეს სიტყვა... გვიმი — სამეგრელოს რაიონებში გავრცელებული, ლამაზად მოპირკეთებული, გამომწვარი თიხის ჭის თევია. იგი საკმაოდ მაღალია და საიმედოდ იცავს ჭას დანავიანებისაგან, უხიფათოა ბავშვებისთვის. ცნობისმოყვარე ღემირ კვირკვიას ჭაში ჩასახედად თითის წვერებზე უხდება შედგომა. (ჩხოროწყუს რაიონი. სოფელი ხაბუმი)





საუბრის დროს პატარა კურტი სარკის პირდაპირ იჯდა, საიდანაც ღიად-დატოვებული საწოლი ოთახი ჩანდა.

— მაშეო!... — წამოიძახა უცებ კურტმა.

— წყნარად იჯექი, შვილო, ხომ აცი, ჭამის დროს ლაპარაკი არ შეიძლება, — დაარიგა მამამ.

კურტმა საუბრე განაგრძო, მაგრამ მალე ისევ ალაპარაკდა.

— მე შენ რა გითხარი, პა?! — შეუტია მამამ.

საუბრის შემდეგ თვითონ მამამ ჰკითხა: რა გინდოდაო, შვილო.

— აღარაფერი, მამეო, — მიუგო კურტმა — წელან საწოლ ოთახში ვილაც უცხო კაცი ტომარაში რალაყებს ალაგებდა, მაგრამ უკვე წავიდა.

ერთ-ერთი თანამოსუფრე ეკითხება მის გვერდით მჭიდრ სწავლულს.

— ბატონო მასწავლებლო, თუ შეიძლება მოკლედ ამიხსენით რაში მდგომარეობს ფარდობითობის თეორია?

— ბატონო პომისლ — მიუგო სწავლულმა, რომელსაც სურდა ეს საკითხი რაც შეიძლება უბრალო და ხალხური ენით აეხსნა — აი მაგალითად, მუხლებზე გიზით მშვენიერი ქალიშვილი, მაშინ თქვენ ორი საათი ორ წუთად გეჩვენებათ. მაგრამ თუ თქვენ გახურებულ ქურაზე ზისხართ, მაშინ პირიქით მოხდება — ორი წუთი ორ საათად მოგეჩვენებათ.

— რას ამბობთ — წამოიძახა იმედგაცრუებულმა პომისლმა — ნუთუ ესაა აინშტაინის აღმოჩენა?

## ლიჩეჟოკი აუხსავს

— როგორაა საქმე, გაგზავნეთ უკვე სათადარიგო ნაწილები?

— რა თქმა უნდა, ამხანაგო ღირექტორო!

— საკმაო რაოდენობით?

— დიხ, ამხანაგო ღირექტორო, არხეინად იყავით!


— მინცდამინც ბეკრის გაგზავნა არც იყო საჭირო.

— ბეკრი არც გაგვიგზავნია, ამხანაგო ღირექტორო.

— ბოლოსდაბოლოს, მე ვფიქრობ, რომ შეიძლებოდა, საერთოდ, სულაც არ გაგვეგზავნა.

— ჩვენც ხომ, ამხანაგო ღირექტორო, საერთოდ, სულაც არ გაგვიგზავნია.

ი. სობოტკა „დიკობრაზი“ (ჩეხოსლოვაკია).



თქვენს წინაშეა საერთაშორისო საქადრაკო ფედერაციის მიერ ოქროს მედლით დაჯილდოებული ეტიუდი.

პარტიისაგან განსხვავებით, ეტიუდი წარმოადგენს ხელოვნურად შედგენილ პოზიციას, სადაც ერთ-ერთმა მხარემ (ჩვეულებრივ თეთრებმა) უნდა მიაღწიონ მოგება ან უაიხს, გარდა ამისა, ეტიუდში უნდა იყოს გამოსახული რაიმე მკაფიო იდეა. ამ ეტიუდში მომხიბვლელია მრავალჯგის „ჩანაღლი“ შავების მიერ და თეთრი მეფის მიერ მიღწეული საპატიო თავშესაფარი დაფის ცენტრში, რაც საქადრაკო კომპოზიციის მრავალ ათასიან ეტიუდებში ძალზე იშვიათად გვხვდება.

ამონხნა: 1. ეხ5+, მე5!; 2. ე:ე5+, მედ4; 3. ენა5, ეგ7+, (აუცილებელია); 4. მეფ4, ხნ; 5. ეე4+, მე:დ3; 6. ენა4, ხნ; 7. ეე3+, მე:დ2; 8. ეეა3, ხ4; 9. ეე5!! ხ:ა; 10. ედ5+, ე:დ5. -- ყიმი პატის გამო.

## შურნალ „დროშის“ № 8-ში მოთავსებული პროსპორდის პასუხი

პროსპორდის პასუხი: 1. მენიუ, 5. ალალი, 7. ისრაილი, 11. მანდილი, 12. ათეიზმი, 14. ამაო, 15. იმპერიალი, 16. როქი, 19. ნიხრი, 22. შენიე, 24. ტოლიატი, 25. ურო, 26. შოუ, 27. სპარტა, 28. წმინდა, 29. ბია, 32. სია, 33. ალუბალი, 34. დანტე, 35. უნიტა, 38. ქაფი, 39. ასპირანტი, 40. ბანი, 44. შურდული, 46. გამბიტ, 47. იარლიყი, 48. ირიბი, 49. ისარი.


ვერტიკალურად: 1. მახემა, 2. ურანი, 3. ორბი, 4. ლირა, 5. აკიზო, 6. იარუხი, 7. ილიოში, 8. იდეალი, 9. აქვარი, 10. ბინოში, 13. პრემია, 17. პროსპექტი, 18. მერიდიანი, 19. ნარდი, 20. პორტალი, 21. სტიმული, 23. ეროსი, 30. აზარფეშა, 31. აბჯარი, 32. სიტუაცია, 36. ასეული, 37. შტამპი, 38. ქედანი, 41. იალალი, 42. კრივი, 43. ლინჩი, 45. იარა, 46. გოია.

გარეკანის პირველ გვერდზე: „თბილისის ზღვის პირას“  
ფერადი ფოტო გ. რაჭმაძისა

მეოთხე გვერდზე: პიატიგორსკში.  
ფერადი ფოტო ე. იგნატოვიჩისა

ჩანართის პირველ გვერდზე: სვეტიცხოველი.  
ფერადი ფოტო გ. რაჭმაძისა.

მეოთხე გვერდზე: გოგიას ციხე.  
ფერადი ფოტო გ. რაჭმაძისა



ქიდვე მოუგე მამაშენს?

რედაქტორი გრ. აბაშიძე | სარედაქციო კოლეგია: ი. ვიგინიეშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ზ. ლეჟავა | ტექნიკური დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV ხარტი. | ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IX-59 წ. გამოცემა № 157. | ჯამ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub> 1,5 ჯამ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. | ტირაჟი 23.050. შეკ. № 1013, უგ 03663

# უშბა

(პირველი საბჭოთაჲი  
ასვლის 25 წლისთავის  
გამო)



ოცდახუთი წლის წინათ, 1934 წლის აგვისტოს 31-ს, ქართველი მთამსვლელების ჯგუფმა, რომელშიც სახელმთხვეჭილი მთამსვლელები ალ. ჯაფარიძე, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი და გიო ნიგურიანი შედიოდნენ, ფეხი შესდგა სამხრეთი უშბის მწვერვალზე.

უშბა, 4710 მეტრის სიმაღლეზე აზიდული, კავკასიონის ულამაზესი და უძნელესი მწვერვალია, ამიტომ საბჭოთა მთამსვლელების ამ ასვლას მეტად დიდი მნიშვნელობა ქონდა. ამ ასვლით დაიწყო დიდ სპორტულ მიღწევათა წყება, რომელთაც საბჭოთა მთამსვლელობას მსოფლიო აღიარება და წამყვანი ადგილი მოუპოვეს.

მას აქეთ ოცდახუთი წლის განმავლობაში — ქართველმა მთამსვლელებმა მრავალჯერ დალაშქრეს უშბის ციცაბო კლდეები, ახალი გზები გამოიხსნეს მწვერვალისაკენ.

მაღალი სპორტული კლასის ალპინიზმის განვითარება უმთავრესად სამი გზით წარიმართა — უძნელესი გზებით მწვერვალების აღება, მწვერვალთა წყების წვერიწვერ გადავლა (ტრავერსირება) და სიმაღლოვანი ასვლები. ამ სამივე დარგში ქართველმა მთამსვლელებმა საერთაშორისო კლასის მიღწევები მოიპოვეს. კედლების დაძლევაში, გაბრიელ ხერგიანის ჯგუფის მიერ უშბის სამხრეთ კედლის, დიმიტრი ობოლადის მიერ შხარის სამხრეთ კედლის დაძლევა, ტრავერსების კლასში — ალ. ჯაფარიძის, ივ. მარის და ალ. ნემსიწვერიძის ჯგუფების მიერ კავკასიონზე გავლილი უძნელესი ტრავერსები და სიმაღლოვანი ასვლებში — საქართველოს ალპური კლუბის სიმაღლოვანი გუნდის მიერ პამირში ჩატარებული ასვლები საბჭოთა და მსოფლიო ალპინიზმის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს ეკუთვნის.





ეროვნული  
ბიბლიოთეკა

